სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 მარტი 2008 №049 (3273თ) ფასი 50 თეთრი



ხვალ ინდელ სარბიელში

თქვენი ინტერვიუ ტიმ ლეინთან

საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი გულშემატკივართა კითხვებს პასუხობს

ვიდა პარაკოთ ფეხბურთზე

ფედერაციის პრეზიდენტი, მორაგბე, მუსიკოსი და ჟურნალისტი: პოზიციები ეროვნულ საკითხზე

ბადრი კვირიკაძის ფოტო

ლიგას არსენას ჩრდილი წაადგა

ოდონდ ვენგერი მარტო წართმევაზეა

კახა კალაძის მესამე ჩემპიონთა თასი გადაიდო

გიორგი ონიანი: დროა, მწვრთნელს ველაპარაკო

კიდევ კარგი, კარში მგელი გვყავს

გიორგი ონიანი, ილია კანდელაკი და გიორგი სეთურიძე — მეორე ბუნდესლიგის აუტსაიდერი „კარლ ცაისი“ საქმეს ქართული ტრიოს გარეშე აუდის. თუმცა როგორ „აუდის“, როცა გუნდი ბოლო ადგილზეა და ბევრიც არაფერი აკლია გავარდნამდე.

პირველ წრეში ონიანი და კანდელაკი რეგულარულად არა, მაგრამ ხშირად თამაშობდნენ ძირითადში, ხოლო სეთურიძე ტრავმირებული გახლდათ. წლეულს კი სამივე ჩვენიანი ჯანმრთელადაა, მაგრამ...

გიორგი ონიანს გუშინ იენაში დავუკავშირდით და საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა...

— ჯერ ჯანმრთელობაზე გკითხავ. მოსამზადებელი პერიოდის დიდი ნაწილი გაგიცდა...

— თვეზე მეტი გამიცდა ტრავმის გამო. მერე კი მოვმჯობინდი, მაგრამ გავციდი და ამის გამო მომიწია დასვენება. თუმცა უკვე კარგა ხანია, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ გუნდთან ერთად, სათამაშოდაც მზად ვარ, მაგრამ 18-კაციან განაცხადში მოხვედრას ველარ გავცდი.

— რატომ? მწვრთნელთან არ გილაპარაკია მიზეზებზე?

— ხვალ უნდა დაველაპარაკო, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. მწვრთნელის მიკვირს: დაცვა საშინლად თამაშობს, შემადგენლობას კი არა და არ ცვლის. მეკარე გვყავს, რომ იტყვიან, მგელი — ვასილი ხომუტოვსკი რომ არ იყოს „კარლ ცაისში“, მეორე წრეში რამდენიმე თამაში იქნებ, ათი ბურთითაც კი წაგვეგო.

— არადა, ზამთარში იყო ლაპარაკი, რომ, შესაძლოა, „კარლ ცაისს“ გიორგი ლომაია დაუბრუნდესო...

— ეგ მეც გავიგე. აქ ახსოვთ ლომაია, წინა სეზონში კარგად ითამაშა და თითქოს აპირებდნენ კიდეც მის დაბრუნებას, მაგრამ რა მოხდა, არ ვიცი. მიზეზი ალბათ ისაა, რომ „კარლ ცაისიდან“ ის რუსული კომპანია უკვე წავიდა. ისე კი, ხომ გითხარით, მეკარის პრობლემა საერთოდ არ გვაქვს: ხომუტოვსკი ძალიან მაგრად თამაშობს.

— შენს გარდა, არც სეთურიძესა და კანდელაკს ათამაშებენ. დიდი კონკურენციაა „კარლ ცაისში“?

— კონკურენცია კი არის, მაგრამ არა იმხელა, შემდგენლობაში საერთოდ რომ ვერ ვხვდებოდეთ. ვნახოთ, იმედია, შეიცვლება რამე.

— „კარლ ცაისი“ თუ გავარდება, კონტრაქტი ავტომატურად წყდება თქვენთან?

— კი. რომც გვინდოდეს რეგიონალლიგაში თამაში, მაინც არ გვათამაშებენ. თუ არ გავვარდით, კიდევ ერთი წელი დამრჩება კონტრაქტი.

— და როგორ გგონია, არის შანსი, რომ გადარჩეს გუნდი?

— მოგებათა სერიაა საჭირო. ბოლო ხუთი მატჩი კონკურენტებთან გვაქვს და მათთან თამაშებში გამოჩნდება ყველაფერი. თუმც იქამდეც უნდა დავაგროვოთ ქულები, რათა აზრი ჰქონდეს ბოლო შეხვედრებს.

— პირველ წრეში მუდმივად ცენტრალურ მცველად თამაშობდი?

— ცხრა მატჩი ჩავატარე და აქედან ხუთში მარჯვენა მცველი ვიყავი.

— და მომავალ კლუბზე ფიქრი ხომ არ დაგიწყია?

— ჯერ ადრეა. მაისის ბოლომდე დიდი დროა...

ილია ნანოგაშვილი

გოლს აღარ დავეძებ

იაშვილს მხოლოდ კიკერი გაუჯიუტდა

გერმანული „კარლსრუეს“ ქართველმა თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა „ვოლფსბურგს“ ისეთი გოლი გაუტანა, გერმანიაში აზრთა სხვადასხვაობა რომ გამოიწვია. რამდენიმე ვებგვერდი ბურთს ჩვენებურს უთვლის, მათ კი მხოლოდ „კიკერი“ ეწინააღმდეგება, რომელიც იაშვილის გოლს ვოლფსბურგელ მცველ რიკარდუ და კოშტას ანერს. „კიკერი“ უპოპულარულესი გამოცემაა გერმანიაში და წონიანი სიტყვაც აქვს, ამიტომ ამ გოლის თაობაზე პირდაპირ იაშვილს დავეკითხეთ...

— მარცხენა ფლანგზე ორი ფეხბურთელი მოვატყუე, საჯარიმოში შესულმა კარის შუაში დავარტყი, ბურთი მცველის ფეხიდან აიჭრა, ძელს მოხვდა და კარში შევარდა.

— ბურთმა მიმართულება მნიშვნელოვნად შეიცვალა?

— მიმართულება კი შეიცვალა, მაგრამ მცველი ლამის ხაზზე იდგა და ბურთი ისედაც გადიოდა კარში.

— სხვადასხვა ვებგვერდებზე განსხვავებული ინფორმაციები ვნახეთ და შენ უკეთესად გეცოდინება — გოლს გითვლიან თუ არა?

— ჯერ ჩემთვისაც გაურკვეველია, ვის ჩაუთვლიან, თუმცა არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ჩამითვლიან, თუ არა. მთავარია, გუნდი კარგად თამაშობს და მეც ჩემი წვლილი შემაქვს მოგებებში.

— წვლილი მართლაც დიდია — ბოლო მატჩებში საუკეთესოდ გაღიარეს, „ვოლფსბურგთან“ მატჩის შემდეგ კი ჟურნალისტებმა ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეგიყვანეს...

— ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩემი კარგი თამაში შეუმჩნეველი არ რჩება...

— ეგ გერმანიაში, ნაკრებში კი რჩებათ... ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის ხომ არ ელი დაძახებას?

— სიმართლე გითხრათ, ჯელოდები.

— ჯერ არ შეგხმიანებიან?

— ჯერჯერობით არა.

— დაბოლოს: როდის ველოდოთ იაშვილის ისეთ გოლს, რომელიც საკამათო არ გახდება?

— ვფიქრობ, „ვოლფსბურგთან“ ნავსი გავტეხე და „ნაღდმა“ გოლმაც არ უნდა დაიგვიანოს. ბოლო თამაშები კარგად მიმდის და თუ ეს მომავალ ტურშივე იქნა, მით უკეთესი. ისე, მარცხენა ნახევარმცველად მიწევს თამაში და ვოლზე მეტად საგოლე პასები გამომდის.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ამკარი და ელიავა უნგრელმა ჩაშალა?

საქართველოს ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ მცველ ზაალ ელიავას პერმის „ამკარში“ გადასვლა თითქმის გამოირიცხა. ამის მიზეზი ამკარელთა უნგრელი მცველი მიკლოშ გაალია.

მადიარი სწორედ იმ პოზიციაზე თამაშობს, რომელზეც ელიავა და ქართველის „ამკარში“ გადასვლასაც ეს უშლის ხელს. ამის თაობაზე ამკარელთა მთავარმა მწვრთნელმა მიოდრაგ ბოჟოვიჩმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს განუცხადა: „პოტენციურ ახალწვეულთა შორის ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება ზაალ ელიავამ დატოვა, მაგრამ მის პოზიციაზე მიკლოშ გაალი“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პირველი ლიგა

პირველი ლიგა

აღმოსავლეთი

მეშაძრე 0:0 ჩიხურა

გაგრა	16	10	4	2	37:26	34
დინამო 2	16	9	4	3	27:14	31
მეშაძრე	15	8	3	4	24:16	27
ვიტ ჯორჯია 2	16	7	4	5	24:15	25
ჩიხურა	16	7	4	5	28:23	25
ოლიმპი 2	16	6	4	6	20:17	22
ჯახეთი	16	6	3	7	26:26	21
ამერი 2	15	6	2	7	27:28	20
ოლიმპიკი	16	3	3	10	21:32	12
ნ.დინ-მერანი 2	16	0	3	13	16:48	3

რუბინს ახლები აუკრძალეს

ყაზანის „რუბინს“ ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირება აუკრძალეს და ამ სიაშია საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელი დავით კვირკველიაც, ვინც ახლახან გადავიდა რუსულ კლუბში ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“.

„რუბინს“ ფინანსური დარღვევების გამო გამოუტანეს ასეთი სასჯელი და სანამ ყველაფერს არ მოაწესრიგებს, ასე იქნება.

ვნახოთ გიგა იმნაძე

ლიტვური კლაიპედას „ატლანტასში“ ნიჭიერი ქართველი ჭაბუკი თამაშობს — გიგა იმნაძე. მხოლოდ ის ვიცით, რომ იმნაძე 1991 წელსაა დაბადებული, თავდამსხმელია და საქართველოს მოქალაქეობა აქვს.

ჩვენი ყურადღება კი იმნაძემ გოლუხვობით მიიპყრო. საკმაოდ პრესტიჟულ ბალტიისპირულ ახალგაზრდულ ტურნირზე იმნაძემ „კაუნასი 2“-ს გაუტანა გოლი, მანამდე კი „ვეტრა 2“-თან ჰეთ თრიქი შეასრულა.

ილია ნანოგაშვილი

სარბიელელები ღრმა მწუხარებას
გამოვთქვამთ ქალბატონი
სოფიკო ჭიაურელის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებას
გამოთქვამს ქალბატონი
სოფიკო ჭიაურელის
გარდაცვალების გამო

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს
ყოფილი ფეხბურთელის და ცნობილი ქომაგის
ღუტა ანდღულაძის
გარდაცვალების გამო

ვერისბაღელები მწუხარებას გამოთქვამენ
ყოფილი ფეხბურთელის და ცნობილი ქომაგის
ღუტა ანდღულაძის
გარდაცვალების გამო

დინამო — ბორჯომი: გრიგალაშვილი და ფეიქრიშვილი კუროორტზე მიდიან

შოთა გრიგალაშვილი

გიორგი ფეიქრიშვილი

გაზეთ „ბურთის" ფოტო

დღეს საქართველოში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და თუ ვინმეს ფეხბურთელებით გაძლიერება სურს, 12 საათამდე უნდა მოასწროს, თუ არა და, იმავე გუნდით მოუწევს სეზონის დასრულება, რომლითაც მეორე წრე დაიწყო.

ბოლო დღეებში ყველაზე აქტიური „ბორჯომია" — გიორგი მეგრელაძის, ვალერი ბოლქვაძისა და კირთაძის შემატების შემდეგ თვალი „დინამოს" კიდევ ორ ფეხბურთელს დაადგა — შოთა გრიგალაშვილს და გიორგი ფეიქრიშვილს.

ამის თაობაზე გუნდის უფროსმა *ვახტანგ მაისურაძემ* გვითხრა: „სავარაუდოდ, ფეიქრიშვილს და გრიგალაშვილს დავიმატებთ. ორივე ფეხბურთელი „დინამოს" ეკუთვნის და ჩვენთან განათხოვრების წესით ითამაშებს".

„ბორჯომს" სწორედ დღევანდელი დღე რჩება ტრანსფერების გასაჩარხად და მის გამოყენებასაც აპირებს.

„ცენტრალური მცველის პრობლემაც გვაქვს. რამდენიმე ვარიანტს ვარჩევთ და ვნახოთ, რა გამოვა" — დასძინა მაისურაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართული პენალტები აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის ჩემპიონატის მე-16 ტურში სამმა ქართველმა ფეხბურთელმა დაარტყა პენალტი — „თურანის" ნახევარმცველ ირაკლი ბერაიას „სიმურგის" მეკარემ აჯობა, ხოლო „ნეფთჩის" თავდამსხმელმა გიორგი ადამიამ („გაბალას" გაუტანა) და სიმურგელმა დავით ბოლქვაძემ ზუსტად დაარტყეს თერთმეტი მეტრიდან.

პენალტების თაობაზე აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა კომენტარი ორ მათგანს სთხოვეს...

ირაკლი ბერაია: „ვერ ვიტყვი, რომ პენალტის დარტყმა არ ვიცი, უბრალოდ, იმ შემთხვევაში არ გამომივიდა. მინდოდა, მარჯვნივ დამერტყა, მაგრამ მერე გადავიფიქრე, რაც მეკარემაც იგრძნო".

გიორგი ადამია: „ვიცოდით, რომ ძნელი მატჩი გვექნებოდა და თავიდან კონცენტრირებულნი ვიყავით. ორი გატანილი ბურთის შემდეგ კი მოვეშვით და საქმე გავირთულეთ, თუმც მოგება მაინც შევძელით. ორმაგად სასიხარულოა, რომ გამარჯვების გოლი მე გავიტანე".

მიხეილ ჟორჟოლიანი

კორღალიძემ საუკეთესოდ გააფორმა

მოლდოვურმა „დაჩიამ" ლევან კორღალიძესთან კონტრაქტი გააფორმა და ჩვენებურმაც განახლებული სეზონის პირველი მატჩი არცთუ ურიგოდ ჩაატარა — კორღალიძე მატჩის ერთ-ერთ საუკეთესოდ ფეხბურთელად ცნეს.

„დაჩიამ" სტუმრად 3:1 მოუგო „ისკრას" და მეორე ადგილზე გამაგრდა.

კორღალიძემ სრულად ითამაშა, კიშინიოველთა მეორე ქართველი ჯაბა დვალი კი 78-ე წუთზე შეცვალეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

აკუასაგა ზესტაფონში საფრანგეთიდან ჩავა



გაზეთ „ბურთის" ფოტო

„ზესტაფონში" რომ ორი გაბონელი ფეხბურთელი ირიცხება — პოლ კესანი და ეტიენ ბიტოო — ქართული ფეხბურთის ქომაგს კარგად მოეხსენება და უახლოეს მომავალში მათ კიდევ ერთი თანამემამულე შეემატებათ.

როგორც შევიტყვეთ, რუსთავის „ოლიმპის" მცველი ერნესტ აკუასაგა იმერულ კლუბს უკვე მოელაპარაკა და მეორე წრეში თემურ მახარაძის გუნდში ითამაშებს.

ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში აკუასაგა საპასპორტო პრობლემების გამო „ოლიმპს" ვერც უკრაინაში გაჰყვა შეკრებაზე და არც „თანამეგობრობის თასზე" უთამაშია.

ამჟამად აკუასაგა საფრანგეთშია — მან მეუღლეს ჩააკითხა, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერ ჰქონია კარგად, იქიდან დაბრუნებული კი „ზესტაფონს" შეუერთდება.

ნუკრი ლოლაძე

გამეზარდაშვილმა გოლი გაიხსენა

თურქულ შეკრებას აგრძელებს რიგის „სკონტო" და მორიგი საკონტროლო მატჩიც გამართა. ლატვიელებმა რუსული „სატურნის" სარეზერვო გუნდს 2:1 მოუგეს და ერთი გოლი დავით გამეზარდაშვილმა შეაგდო.

გასინჯვაზე მყოფ ვლადიმერ დვალიშვილს ამ მატჩში არ უთამაშია.

თუკი „სკონტო" თურქულ შეკრებას აგრძელებს, „ვენტსპილსმა" უკვე დაასრულა და შინ დაბრუნდა. ზურაბ მენთეშაშვილის გუნდმა შეკრება ისე მოილია, ჩვენებურს არც ერთ საკონტროლო მატჩში არ უთამაშია.

ტრავმამოშუშებული მენთეშაშვილი გუნდთან ერთად კი ვარჯიშობდა, მაგრამ მწვრთნელმა მოედანს მაინც მოარიდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი მეგრელაძემ შარშან ყაზახეთს მიაშურა და იქაურ „ჟეტისუში" ითამაშა. მას ყაზახურ კლუბთან ექვსთვიანი კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა და საქართველოში დაბრუნდა. მეგრელაძით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, თუმცა ბოლოს „ბორჯომი" არჩია და საქართველოში დაბრუნება დუბლით აღნიშნა — ცხინვალის „სპარტაკს" ჯერ თავურით, შემდეგ კი პენალტით გაუტანა...

ყურს ნუ უგდებთ მეგრელაძეს მოედანზე!

დაბრუნება და დუბლი ერთი იყო

— საქართველოში დაბრუნება დუბლით აღნიშნე...

— ორი გოლი კი გავიტანე, მაგრამ ჩემი თავით მაინც უკმაყოფილო ვარ. ჯერ კიდევ ვერ ვარ სასურველ ფორმაში. სეზონის წინ მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, გუნდთან ერთად თითქმის არც მივარჯიშია.

— როგორ ფიქრობ, რამდენ ხანში მიაღწევ სასურველ ფორმას?

— ამაში უფრო თამაშები დამეხმარება. ვარჯიში ერთია, პრაქტიკა — მეორე. მთავარია, მალე შევიდე ფორმაში და, რაც მთავარია, აღდგენილი დიდხანს შევინარჩუნო.

— პირველი გოლი კუთხურისას ჩვეულ სტილში, თავით გაიტანე — ეს ძველებური ალღო იყო თუ, უბრალოდ, გაგიმართლა?

— „სპარტაკის" მცველი რევაზ ქემოკლიძე დიდი ხანი არ მენახა და კუთხურისას გამოველაპარაკე, მერე კი უცებ გავექეცი და ბურთის გატანაც აღარ გამჭირვებია.

— „ბორჯომში" რამდენ ხანს დარჩები?

— სეზონის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი, მერე არ ვიცი...

— უცხოეთში წასვლაზე ისევ ფიქრობ?

— წინასწარ არ მინდა, რამე ვთქვა, მაგრამ ალბათ წავალ... ახლაც იყო წინადადებები, თუმცა საეჭვო ჩანდა. რომ არ გამოსულიყო, აქაც უთამაშებელი ვრჩებოდი და ამიტომ ვარჩიე „ბორჯომში" თამაში.

— ყაზახებს არ სურდათ შენი დატოვება?

— ბოლოს სტაბილურად ავთამაშდი, მაგრამ მერე ახალი მწვრთნელი მოვიდა და თავისი ხალხი მოიყვანა. კონტრაქტის გაგრძელება რომც შემოეთავაზებინათ, ძირითადის გარანტია არ იყო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

რას იფიქრებდა რევაზ ქემოკლიძე (მარჯვნივ) გიორგი მეგრელაძესთან გასაუბრება ოდესმე ძვირად თუ დაუჯდებოდა...

გაზეთ „ბურთის" ფოტო

ვილაპარაკოთ ფეხბურთზე მრგვალი მაგიდის ოთხი კუთხე

კობა ინასარიძე, გიორგი დარჯანია, ნოდარ ახალკაცი, გია ბაღაშვილი, ლევან ცაბაძე

ბარის კომპლექსის ფოტო

იდეა, მრგვალი მაგიდის გარშემო ფეხბურთში მოსაქმე და ფეხბურთის მოყვარული ადამიანები დაგვესვა და გვესაუბრა, გუშინ არ გაგვჩენია. უბრალოდ, ვთვლით, რომ ახლა საამისოდ ყველაზე შესაფერისი დროა და იმასაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის ამ ტიპის მსჯელობა საინტერესო უნდა იყოს. გუშინ „სარბიელის" რედაქციაში ჩვენი სტუმრები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე, ახლო წარსულში გამორჩეული მორაგბე ლევან ცაბაძე და მუსიკათმცოდნე-ფოლკლორისტი, დოქტორი, შემოქმედებითი გაერთიანება „ლომისის" ხელმძღვანელი გია ბაღაშვილი იყვნენ. „სარბიელის" მხრიდან კი საუბარში მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია და ჟურნალისტი კობა ინასარიძე მონაწილეობდნენ. საუბარი ქართული ფეხბურთის პრაქტიკულად ყველა საჭირბოროტო თემას შეეხო: ფედერაციის გაწეული სამუშაო ბოლო ორ წელიწადში; ეროვნული ნაკრების გამოსვლა წინა შესარჩევ ციკლში და მისი სამომავლო პერსპექტივა; ქართული საკლუბო ფეხბურთის პრობლემები და განვითარების სახელმწიფო პროგრამა. რამდენიმესაათიანი საუბრის ერთ საგაზეთო სტატიაში ჩატევა კი ვერაფრით ხერხდება და ამიტომაც მას გაგრძელებებით შემოგთავაზებთ. დღეს საუბრის პირველ ნაწილს გთავაზობთ...

გიორგი დარჯანია: გაგვიჩნდა იდეა, მოგვეწყო მრგვალი მაგიდა, სადაც ვისაუბრებდით ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხებზე. გვინდა შევეხოთ უშუალოდ ფედერაციის საქმიანობასაც, რა თქმა უნდა, იმ პერიოდში, რაც ბატონი ნოდარ ახალკაცი არის ფედერაციის პრეზიდენტი, შევეხოთ ნაკრების გამოსვლას და ნაკრების პერსპექტივას, ვისაუბროთ ქართულ საკლუბო ფეხბურთზე...

ამ კითხვით დავიწყებ, ბატონო ნოდარ, რაც თქვენ და თქვენი გუნდი მოხვდით ფედერაციაში, კონკრეტულად რომ ჩამოვთვალოთ, რით შეგიძლიათ, იამაყოთ. რა არის გაკეთებული ამ პერიოდში?

ნოდარ ახალკაცი: იმისთვის, რომ სრული ანალიზი გახდეს შესაძლებელი, აუცილებელია, რეალურად შევაფასოთ სიტუაცია. ვთქვათ, რა იყო, როდესაც ჩვენ მოვედით და რა არის დღეს. არა იმიტომ, რომ, დავუშვათ, ცალკეული პიროვნებების ან ადამიანების დადანაშაულება იყოს ჩემი საქმიანობა ან ვინმესთვის რამის გადაბრალება, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ თუკი ჩვენ ვსაუბრობთ, რა გააკეთა ფეხბურთის ფედერაციამ, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რა იყო ათვლის წერტილი, რა არსებობდა ადრე ან რა არ არსებობდა და რა გამოსწორდა და რა გვაქვს დღეს, რაც მანამდე არ იყო...

იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთი ძალიან კომპლექსური საკითხია, მე ნამდვილად ვერ გამოვარჩევ ერთ რომელიმე თემას. შემიძლია ძალიან თამამად ვთქვა, რომ ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, არის პოზიტიური ძვრები, არის განვითარება და თუ ვინმე ამაში არ დამეთანხმება, შემიძლია დავუსაბუთო, რატომ ვთვლი ასე...

გიორგი დარჯანია: მოდით, ჩამოვთვალოთ ეს **კონკრეტული მიმართულებები...**

ნოდარ ახალკაცი: ყველას გვაინტერესებს, მაგალითად, ბავშვთა ფეხბურთი და იქ არსებული პრობლემები. ბავშვთა ფეხბურთში პრობლემები არც დღეს, არც გუშინ და არც ორწლინახევრის წინ, ეს კიდევ უფრო ძველია და ყოველთვის არსებობდა, საბჭოთა კავშირის დროსაც...

მაგალითად, საკითხი, არის თუ არა, ესა თუ ის სპეციალისტი ნამდვილად კვალიფიციური, რათა ბავშვთა ფეხბურთში იმუშაოს.

მე შემიძლია ვთქვა ის, რა გაკეთდა ორწელიწადნახევარში. გაკეთდა ის, რომ ზოგადად, ბავშვთა ფეხბურთი, როგორც სისტემა, არ არსებობდა. ყველაფერი აბსოლუტურად მოშლილი იყო: სანაკრებო ბავშვთა ფეხბურთიც და საკლუბო ბავშვთა ფეხბურთიც. ამის მარტივი გამოვლინება იყო ის, რომ ვისაც არ ეზარებოდა, ყველას შეეძლო გადაკეთებული ასაკით ეთამაშა, შეეძლო სხვის ნაცვლადაც კი ეთამაშა. არანაირი კონტროლი არ არსებობდა... არ არსებობდა არანაირი მონაცემთა ბაზა. რომ არაფერი ვთქვათ, იგივე ვიზუალურ კონტროლზე, რომ ეს მართლა ის ბავშვი იყო, ვისი სახელითაც თამაშობდა...

დღეს ჩვენ გვაქვს სრული მონაცემთა ბაზა, რომელიც სრულად არის კომპიუტერიზებული, შემოვიღეთ ფეხბურთელთა ახალი პასპორტები, სადაც 12-დან 18-წლამდე ფეხბურთელებზე სრული ინფორმაციაა შეგროვებული. ეს ის ასაკია, რომელშიც აქტუალურია კომპენსაციის გადახდის თემა. ამ მეთოდით კი გამოირიცხება თუნდაც გადაკეთებული ასაკის პრობლემა...

...ძალიან დიდ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ სადღეისოდ ყველა ტალანტს საშუალება აქვს, ფეხი მოიკიდოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში. ასეთი რამ ადრე არ ყოფილა და ეს ყველამ ვიცით...

...ადრე შეკრებებზე 80 კაცი მიემგზავრებოდა ხოლმე და თითო კაცს 250 დოლარი უნდა გადაეხადა. თუ ვერ გადაიხდიდა, შეკრებაზე ვერ მოხვდებოდა. ცხადია, ეს არის სრული მარაზმი, რომ არაფერი ვთქვათ სისხლის სამართლის დანაშაულზე...

...დღეს ჩვენ ვაწარმოებთ ტალანტთა აღმოჩენის პროგრამას და, მაგალითად, შარშან 1992-1993 წლებში დაბადებული 3085 ბავშვი ვნახეთ უშუალოდ ადგილებზე და არა ვთქვათ, მხოლოდ თბილისში. მთელი საქართველო მოიარა სამწვრთნელო შტაბმა, საქმეში ნახა ესა თუ ის ფეხბურთელი...

ეს არის ესპანური მოდელი, რომელიც ყველაზე წარმატებულია ევროპულ ბავშვთა ფეხბურთში...

დამეთანხმება ჩვენი რაგბის ლეგენდა ლევან ცაბაძე — 14-15-16 წლის ასაკში შეიძლება, ვიღაცამ უცებ ტანი აიყაროს, ჯანი დააკლდეს, მერე მოემატოს... ანუ ამ ბიჭებს სულ სჭირდებათ დაკვირვება, ყურადღების ქვეშ ყოფნა და ვთვლი, რომ ძალიან საინტერესო ტენდენციას ჩავუყარეთ საფუძველი. ადრე რაიონებიდან იბარგებოდა ფეხბურთელი და ოჯახი ცდილობდა, გაეკეთებინა ყველაფერი იმისთვის, რომ თბილისში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. ადრე რაიონში არ იყო განვითარების შანსი, თუ თბილისში არ ცხოვრობდი, ბევრს ვერაფერს მიაღწევდი... ახლა იქ ჩადის სამწვრთნელო შტაბი, ადგილზევე აკვირდება ფეხბურთელს და მასაც აქვს შანსი, რომ თავი გამოიჩინოს...

ძალიან დიდ მონაპოვრად მიმაჩნია ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ლიცენზირების პროგრამაც. ამ პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მტკივნეული თემა მწვრთნელების განათლებაა და ჩვენ, შესაბამისად, დავიწყეთ C ლიცენზიის კურსები, რომელიც გავლილი უნდა ჰქონდეს დამწყებ მწვრთნელს, რათა ბავშვებთან მუშაობის უფლება ჰქონდეს. დღევანდელი დღის ჩათვლით, ჩვენ დაახლოებით 150 ლიცენზირებული მწვრთნელი გვყავს და ამ თვის და მომდევნო თვეში ალბათ კიდევ ერთი ამდენი დაემატება. ვთვლი, რომ დაახლოებით ერთი-ორი წლის განმავლობაში უკვე კვალიფიციური მწვრთნელების საკმარისი რაოდენობა გვეყოლება იმისთვის, რომ არა მხოლოდ შევავსოთ მოთხოვნილება, არამედ, დარწმუნებული ვარ, ბავშვების რაოდენობა მოიმატებს და, შესაბამისად, მწვრთნელებიც მობილიზებულნი იქნებიან...

...ჩვენ მივაღწიეთ უეფასთან შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ „ჰეთ თრიქის" პროგრამ შინაარსობრივად შეცვლილიყო და თუ, ვთქვათ, ადრე რეგიონალური ფედერაციების ოფისების მშენებლობა და ასეთი რაღაცები იყო გათვალისწინებული, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენ შევცვალეთ და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რეგიონალური ფედერაციების შენობები კი არ აგვეშენებინა, არამედ, მზა გვეყიდა. შესაბამისად, შევძელით, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად 30 მინი-მოედნით მეტი გაგვეკეთებინა მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელიც უკვე გამოვიყენეთ სკოლბურთის გათამაშებისთვის. თუკი ადრე მხოლოდ თბილისზე ვიყავით კონცენტრირებულნი, იმის შემდეგ, რაც მთელ საქართველოში ხელოვნურსაფარიანი მინი-მოედნები გაკეთდა, მოვახერხეთ, სკოლბურთში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა 4 ათასიდან 11 ათასამდე გაგვეზარდა. მთელი საქართველოს მასშტაბით და გამარჯვებულ ზუგდიდის გუნდს მიეცა საშუალება, ბარსელონას საერთაშორისო ტურნირში მიეღო მონაწილეობა...

მოკლედ, ეს ისეთი თემაა, რომე-

ლზეც შეგვიძლია, 24-საათი ვილაპარაკოთ...

გიორგი დარჯანია: კობა, ბატონმა ნოდარმა ილაპარაკა ბავშვთა ფეხბურთზე და, ცხადია, ყველაფერი მისასალმებელი და კარგია, რაც გაკეთდა. მაგრამ ბავშვთა ფეხბურთში არის, ვთქვათ, მწვრთნელებისა და მოედნების პრობლემა. რამდენადაც ვიცი, ბავშვები ისე ამთავრებენ სკოლას, 16-17 წლისები ისე ხდებიან, რომ ბალახზე არ უთამაშიათ. მოდი, ამაზე ვისაუბროთ...

კობა ინასარიძე: რა თქმა უნდა, კარგია, ამდენი ხელოვნურსაფარიანი მოედანი რომ გაკეთდა. მაგრამ ბატონი ნოდარიც დამეთანხმება, რომ დიდი პრობლემაა ბუნებრივსაფარიანი მოედნების არქონა — ბავშვი სანამ დიდ გუნდში არ გადავა, იქამდე მოედანზე ვერ თამაშობს.

გიორგი დარჯანია: გასაგებად რომ ვთქვათ, ეგრეთწოდებულ „გარეკოიზე" უხდებათ ხოლმე თამაში...

კობა ინასარიძე: აქედან გამომდინარე, არის იმის დიდი შანსი, რომ ბავშვის ორგანიზმი აბსოლუტურად სხვანაირად ჩამოყალიბდეს, რადგან ბალახზე კი არა, ხელოვნურ საფარზე იზრდება. და ეგ უკვე დიდი პრობლემაა. დიდი შანსია, ბავშვი ისე ვეღარ განვითარდეს, როგორც საჭიროა.

გიორგი დარჯანია: ლევან, შენ უკვე მწვრთნელობა დაიწყე, საქართველოს რაგბის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ხარ და საინტერესოა, შენ როგორ ხედავ: რამდენად აქტუალურია საქართველოში მწვრთნელების პრობლემა და გვყავს თუ არა მაღალკვალიფიციური მწვრთნელები?

ლევან ცაბაძე: რაგბიში თუ ფეხბურთში?

გიორგი დარჯანია: ცხადია, ფეხბურთში.

ლევან ცაბაძე: ეგ ბატონ ნოდარს უფრო უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ჩემი აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთში გვყავს საკმაოდ გამოცდილი და ბევრისმნახველი ყოფილი ფეხბურთელები, რომლებსაც უმაღლესი კლასის, უმაღლესი დონის ფეხბურთი უთამაშიათ და არა მგონია, მათთვის ეს დიდ პრობლემას წარმოადგენდეს, თუ ისინი მოისურვებენ, რომ...

ნოდარ ახალკაცი: ზუსტი მინიშნებაა: „თუ ისინი მოისურვებენ..."

ლევან ცაბაძე: დიახ, თუ მოისურვებენ... მათ შეუძლიათ, 19-წლამდე ასაკის ფეხბურთელები სწორ გზაზე დააყენონ და მათი სწორად აღზრდა მოახერხონ. ჩვენ ძალიან დიდი ხნის მანძილზე საინფორმაციო ვაკუუმში ვიყავით და ვიზრდებოდით საბჭოთა ფეხბურთით, რომელიც მსოფლიო ფეხბურთისგან ბევრად განსხვავდებოდა. თუ ეს ვეტერანები არ მოისურვებენ ამის კეთებას და თავიანთი გამოცდილების გადაცემას მომავალი თაობებისთვის, ეს პრობლემა სულ გვექნება. მაშინ ფედერაციამ უნდა მოახერხოს და საერთაშორისო მწვრთნელთა სემინარებზე გააგზავნოს ჩვენი მწვრთნელები, სადაც ისინი მიიღებენ ცოდნას, გაიგებენ, როგორ ვითარდება თანამედროვე ფეხბურთი. აი, იქ უნდა მივიღოთ აქტიური მონაწილეობა, თუმცა... ესეც გარკვეულ ბარიერს წარმოქმნის — ენის პრობლემა.

ცხადია, პრობლემები არის და, ჩემი აზრით, ეს მხოლოდ ფედერაციის ბრალი არაა, ეს თვითონ ფეხბურთელების ბრალიცაა. მერწმუნეთ, ჩვენ, მორაგბეები, თითოეულ ბავშვს თავზე დავკანკალებთ, რათა მათ სწორი მიმართულება აიღონ, ვასწავლით, რა არის რაგბი, რა არის სამშობლო და ამის შემდეგ ველაპარაკებით სხვა რამეებზე, ანუ ჩვენი წინა თაობა მომავალს ყოველთვის წინ ექაჩება.

ნოდარ ახალკაცი: ცხადია, ვეტერანებს სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლიათ. მე, უბრალოდ, ერთ რამეს დავამატებდი — დაგეთანხმებით იმაში, რომ მოედნები ჩვენი სერიოზული პრობლემაა, ეს პრობლემა დიდი ხანია, დგას, ახალი არ არის. თუმცა ხელოვნურსაფარიან მოედანს თავისი პლუსები აქვს...

კობა ინასარიძე: ბატონო ნოდარ, გაწყვეტინებთ, მაგრამ სტანდარტული ზომის ბალახის მოედანი თითქმის არ არის...

ნოდარ ახალკაცი: მესმის, მაგრამ ბავშვთა ფეხბურთისთვის ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ვერც ერთი ბუნებრივი მოედანი ვერ გაუძლებს ისეთ დატვირთვას, როგორსაც გაუძლებს ხელოვნურსაფარიანი მოედანი. თქვენ რომ უცხოეთშიც ნახოთ, ბავშვთა სკოლებში ბავშვები ძირითადად ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობენ, თუმცა, ცხადია, აქვთ ბუნებრივსაფარიანი მოედანიც, მაგრამ იმ ბუნებრივზე შესვლაზე თუნდაც გერმანიაში, იტალიაში და ინგლისში, შეზღუდვაა. იქ, უბრალოდ, 24 საათი ფიზიკურად ვერ დატვირთავენ ბალახის მოედანს. რა თქმა უნდა, კარგია, როდესაც გაქვს ეს მოედანი და თუნდაც ოფიციალური მატჩების გამართვისთვის იყენებ, მაგრამ ისიცაა, რომ ხელოვნურსაფარიან მოედანზე სულ სხვა ილეთების და სქემების დახვეწა უფრო მოსახერხებელია. იგივე ტექნიკა-ტაქტიკური მეცადინეობისთვის კი სულაც იდეალურია, რადგან ბურთის მოძრაობა დროს არ კარგავს — გაუმართავ მოედანზე სანამ პასი გაკეთდება, ბურთი შეიძლება უცნაურად ახტეს-დახტეს და ამ დროს მთელი მეცადინეობა იმაზეა აგებული, რომ წამის მეასედებში დაასწრო მოწინააღმდეგეს. თუკი ფეხბურთელი გაიხსნა და პასი ორ წამში უნდა მიაწოდო, იმის გამო, რომ მოედანი გაუმართავია, ხუთ წამში მიწვდი, რაც არაეფექტურია და ეს მარტო ჩემი აზრი კი არა, ევროპელი სპეციალისტების გამოცდილებიდან გაკეთებული დასკვნაა...

მოკლედ, კარგი მოედნები ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელია და სწორედ ამიტომ იმ სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც ახლა დროებით შეჩერებულია და აუცილებლად ამოქმედდება, პირველ რიგში, ეს ჩავდეთ. ეს არის სახელმწიფო-საპრეზიდენტო პროგრამა, რათა ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ჩატარდეს გამართულ მოედნებზე და გვქონდეს განვითარებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი და ამის გასაკეთებლად არც ჩვენ და არც სახელმწიფო არაფერს დავიშურებთ...

...უნდა დავეთანხმო ლევანს, ჩვენ, ისევე, როგორც მორაგბეები, ძალიან ვართ დამოკიდებულნი ხალხზე, რომლებსაც უდიდესი გამოცდილება აქვთ. მთავარია, მათ გამოხატონ მზადყოფნა, რათა გადასცენ ახალგაზრდებს თავიანთი ცოდნა. მით უმეტეს, ჩვენ არ გვაქვს სასწავლებლები, საიდანაც მზა სპეციალისტებს ვიღებთ. ქვეყანაში, სადაც წლების განმავლობაში განათლების სისტემა აბსოლუტურად მოშლილი იყო, ვერ მიიღებ პროფესორებს, რომლებსაც პირდაპირ დაასაქმებ მწვრთნელებად. მწვრთნელთა კურსების ჩატარებისას ისეთ რამეებსაც ვხვდებით, რომ... მაგალითად, ლაპარაკია დიაგონალურ პასზე და ირკვევა, რომ მსმენელმა საერთოდ არ იცის, რა არის დიაგონალი. ეს სამწუხარო რეალობაა.

გიორგი დარჯანია: გიას მინდა ვკითხო — ქვეყანამ, სადაც ბევრი რამ მოუწესრიგებელია, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს, რამდენადაა შესაძლებელი, სრულფასოვანი კონკურენცია გაუწიოს მოწყობილი ქვეყნების კლუბებს თუ ნაკრებებს?

გია ბალაშვილი: ორი მთავარი კომპონენტიდან ერთი მაინც არის საჭირო, რათა ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს. გეტყვით, რა კომპონენტებს ვგულისხმობ: დიდი ფული და საფეხბურთო ტრადიციები. თუ ეს ორივე კომპონენტი გაგაჩნია, ამას რა სჯობს, მაგრამ ერთ-ერთი მაინც უნდა გქონდეს. თუ დიდ ფინანსურ დანახარჯებზე ვილაპარაკებთ, შეგვიძლია, მაგალითად მოვიტანოთ თურქეთი და ის გზა, რომელიც ამ ქვეყანამ გაიარა. მეორე მაგალითი: თავის დროზე, არგენტინას საშინელი ფინანსური კრიზისი ჰქონდა, მაგრამ ამ კრიზისმა მის საფეხბურთო ცხოვრებაზე გავლენა ვერ მოახდინა. ერთი იმიტომ, რომ არგენტინელებს იქამდე უკვე გამართული ჰქონდათ საფეხბურთო მეურნეობა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არგენტინას უდიდესი ტრადიცია გააჩნდა. სხვა, უკეთესი მაგალითებიც ვთქვათ: იტალიას და ინგლისს ტრადიციებიც გააჩნიათ და არც ფინანსური ჩავარდნა ჰქონიათ ოდესმე.

ანუ რა გამოდის: ქართველებს უდიდესი ტრადიცია რომ არ გვქონდეს, რომ არ გვყოლოდა პაიჭაძე, ღოღობერიძე, ყიფიანი, უფროსი ნოდარ ახალკაცი, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა. მაშინ არ გვექნებოდა ამხელა ამბიცია და შინაგანი მოთხოვნა. ჩვენ გვაქვს ინტელექტუალური პოტენციალი. მართალი თქვა ბატონმა ნოდარმა, სახარბიელო მემკვიდრეობა არ დახვედრია; ისიც ფაქტია, რომ დღეს ჩადებული ინვესტიცია, დღესვე და ხვალვე არ მოგცემს შედეგს, შედეგი ზეგ და მაზეგ იქნება, მაგრამ თუ ნაკრებზე ვილაპარაკებთ, ისიც ნათელია, რომ ჩვენი ნაკრების გარშემო ბევრი კითხვა ჩნდება. ნაკრები აისბერგის ხილული, მცირე ნაწილია, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ამ კითხვამდე დადის: გვყავს თუ არა თეთრმეტი ფეხბურთელი, რომლებიც მზად არიან საერთაშორისო დონეზე ფეხბურთის სათამაშოდ?

გაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში"



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრი კეკელიძის ფოტო

გაფრი კეკელიძის ფოტო

გაფრი კეკელიძის ფოტო

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

პორტუ (პორტუგალია) — შალკე (გერმანია) (0:1)
სავარაუდო შემადგენლობები

პორტუ: ელტონი, ბოსინგვა, ხ. ლოპესი, პ. ემანუელი, ფუსილე, ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, მეირელეში, ლ. ლოპესი, ფარიასი, კვარესმა
მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ერნსტი, შტრაიტი, რაკიტიჩი, კობიაშვილი, კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)

მირკო სლომკას სკამი დაუმტკიცეს

შალკეს კაპიტანი უგულობას უჩივის

„შალკეს“ მწვრთნელ მირკო სლომკას მოხსნა აღარ ემუქრება. კლუბის თავმჯდომარემ კლემენს ტონიესმა პირობა დადო, რომ სლომკა ადგილს მეოთხედფინალში ვერგასვლის შემთხვევაშიც შეინარჩუნებს. „ჩვენ ვენდობით მას და თუნდაც მერვედფინალიდან გამოვვარდეთ, მწვრთნელს არ მოვხსნით. თავზე თუ ცა დაგვემხო, ალბათ რაღაცას ვიღონებთ, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ თავკაცის შეცვლა სისულელე იქნებოდა“ — თქვა ტონიესმა.

ერთი კვირის წინ ამბობდნენ, შეფებმა მირკო სლომკას ულტიმატუმი წაუყენეს: „ბაიერნთან“ და „პორტუსთან“ მატჩების ვერმოგების შემთხვევაში გათავისუფლებას უპირებენო. „ხუმარებმა“ „ბაიერნთან“ შაბათს 0:1 წააგეს და მწვრთნელის სკამიც შეირყა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა იოზეფ შნუსებერგმა განაცხადა, რომ სლომკასთან გულახდილი საუბრის შემდეგ დაძაბული ვითარება განიმუხტა. „ყველანი პასუხს ვაგებთ გუნდში შექმნილ კრიზისზე და ერთად უნდა მოვძებნოთ პრობლემის მოგვარების გზები“ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

„შალკეს“ კაპიტანი მარსელო ბორდონი „ბაიერნთან“ მარცხის შემდეგ განრისხდა და თანაგუნდელები უგულო თამაშში დაადანაშაულა: „ბუნდესლიგაში ზედიზედ სამი წაგება ჩვენთვის ეგებ კარგიც იყოს — თქვა ბრაზილიელმა — ახლა ხომ გამოჩნდა, თუ რისი მაქნისები ვართ. ყველამ თავის თავს ჰკითხოს, თუ რა გაიღო გუნდისთვის. არ ვარ ის კაცი, რომელიც თანაგუნდელებს სათითაოდ გააკრიტიკებს, მაგრამ ვისზეც ვსაუბრობ, თვითონ მიხვდება, რომ ასი პროცენტით არ იხარჯება.“ რაც შეეხება მწვრთნელს, მისი წასვლა-დარჩენის ამბავი ჩემი გადასაწყვეტი არაა. ფეხბურთელებისგან მხოლოდ იმის თქმა არ კმარა, რომ სლომკა კარგი ადამიანია. მათ მოედანზე უნდა დაამტკიცონ მწვრთნელისადმი ერთგულება. ვიმედოვნებ, გონს მოვეგებით და „პორტუსთან“ გულიანად ვითამაშებთ. პირველი მატჩი მოგებული გვაქვს და კონტრშეტევების საშუალება გვექნება, რაც „შალკეს“ კარგად გამოსდის“.

მირკო სლომკა სავარაუდოდ ერთ ფორვარდს, კევინ კურანის ათამაშებს, ჯერალდ ასამოა და ვისენტე სანჩესი კი სათადარიგოებში იქნებიან.

„პორტუმ“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 19 საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო, ცხრა მოიგო და ამდენივე ფრედ დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ევროთასებზე ორრაუნდიან მატჩებში პორტუგალიურ კლუბებს გერმანულები არასოდეს დაუმარცხებიათ.

ვაჟა ხუციშვილი

კაცი უესკადან
სარაგოსა ცვლას მიეჩვია



არაგონელებმა ირურეტაც დაიწუნეს

„სარაგოსამ“ ამ სეზონში მწვრთნელი მესამედ შეცვალა. ხავიერ ირურეტა „ლევანტესთან“ წაგების შემდეგ წავიდა. ეს გუნდისთვის მიჯრით მეოთხე მარცხი გამოდგა.

59 წლის ირურეტამ „სარაგოსას“ სულ ექვს მატჩში უთავკაცა და ოთხ ქულაზე მეტი ვერ მიაგროვა, რის გამოც ბოლოდან მეოთხე ადგილზე დაეშვა და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა.

„ზედიზედ ოთხმა წაგებამ ეს ნაბიჯი გადამადგმევინა — თქვა თავისი ნებით წასულმა — კლუბის პატრონს კონტრაქტის გაწყვეტა ვთხოვე და ისიც დამთანხმდა. გუნდში ბევრი რამაა შესაცვლელი და ეგებ ახალმა მწვრთნელმა ვითარება გამოასწოროს. მართალია, ბოლოდან მეოთხე ადგილზე არიან, მაგრამ ჯერ კიდევ 12 ტურია დარჩენილი“.

„სარაგოსამ“ ჩემპიონატი დიდი ამბიციით დაიწყო და ჩემპიონთა ლიგაში გავსლას გეგმავდა, თუმც შემოდგომაზე საქმე უკან-უკან წაუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე დიეგო მილიტო ჰყავს, 26 ტურში შვიდ მატჩზე მეტი ვერ მიიგო. ვიქტორ ფერნანდესი, მწვრთნელი, რომელმაც „სარაგოსაში“ სეზონი დაიწყო, იანვარში მოხსნეს. მის ნაცვლად ანდერ გარიტანო დანიშნეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ერთ კვირაში გაიქცა, კლუბის პატრონთან კონფლიქტის გამო. გარიტანო ანდრეს დელსანდროს სათადარიგოთა სკამზე დასმას აპირებდა, მაგრამ შეფებმა ფეხბურთელის მხარე დაიჭირეს. შემდეგ ხავიერ ირურეტა მოიყვანეს, ვისაც პრიმერადივიზიონში 612 მატჩი მოუგროდა და ამ მხრივ მეორე კაცია, თუმც „სარაგოსას“ ასეთმა გამოცდილმა მწვრთნელმაც ვერ უშველა.

გუნდს დროებით მანოლო ვილიანოვა ჩაიბარებს, რომელიც აქამდე მესამე დივიზიონის „უესკაში“ მუშაობდა.

ვაჟა ხუციშვილი

სალამი ძმას!

„ევერტონის“ ავსტრალიელმა ვარსკვლავმა ტიმ კეჰილმა „პორტსმუთთან“ 3:1 მოგებულ შეხვედრაში გატანილი გოლი თავის პატიმარ ძმას, შონს მიუძღვნა და... ამით ინგლისელი სამართალდამცველები გააბრაზა. გააბრაზებდა, აბა, რა იქნებოდა, შონ კეჰილს იანვარში ხომ ექვსი წელიწადი მიუსაჯეს და თან რაიმე უნებლიე დანაშაულისთვის კი არა, ადამიანისთვის სხეულის განზრახ დაზიანების გამო. მისმა აგრესიამ მსხვერპლს, 31 წლის კრისტოფერ სტეპლის მხედველობა დაუზიანა ანუ, როგორც გაზეთები წერენ, სანახევროდ დააბრმავა — სამხრეთ ლონდონში სწორედ ტიმთან ერთად ქეიფის შემდეგ, გარეთ გამოსულმა უფროსმა ძმამ საბრალო სტეპლის თავში ორჯერ ჩაარტყა და გაიქცა.

„ეს გოლი ჩემს უფროს ძმას მივუძღვენი — უთხრა ჟურნალისტებს 28 წლის ფეხბურთელმა — მინდოდა, აქედან მისთვის ხმა მიმეწვდინა. მოკლედ, ჩემთვის მეტად ემოციური მომენტი იყო, ოჯახი ხომ ძალიან ბევრს ნიშნავს და ასევე ბევრს ნიშნავს კლუბიც“.

პოლიციამ კი ტიმის ასეთ ქცევაში დამნაშავისა და მოძალადის მხარდაჭერა დაინახა. დეტექტივი კონსტებლი უილ ჰოუპი:

„შონ კეჰილის ბოროტმოქმედებამ ახალგაზრდა კაცს ცხოვრება დაუმახინჯა. როგორც ფეხბურთის ვარსკვლავი, ტიმ კეჰილი საჯარო ფიგურაა და მას მილიონობით ადამიანი უყურებს. სწორედ ამიტომ მიმაჩნია მისი საქციელი უპასუხისმგებლოდ. გოლის ასეთი აღნიშვნით მან, ნებით თუ უნებლიედ, ძმის საქციელი გაამართლა. მაშ, რა გამოვიდა, ამით რას ეუბნება ფეხბურთის ვარსკვლავი მომავალ თაობებს?“

პოლიციის პრეს-მდივანმა კი ასეთი განცხადება გააკეთა: „ნებისმიერი, ვინც ამდენი ქომაგის წინაშე გამოდის, საკუთარ საქციელს უნდა აკონტროლებდეს. გარშემო უამრავი ყმაწვილია, რომლებიც ფეხბურთს უყურებენ და ფეხბურთელებს ბაძავენ. ამიტომ, სპორტსმენების ქცევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სპორტსმენებმა კრიმინალი არ უნდა წაახალისონ“.

ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი, 68 წლის ჯიმი გრივსი:

„როდესაც ფეხბურთელს გოლი გააქვს, მისი აღნიშვნა აუცილებელია, მაგრამ ეს ზეიმი გონივრული და ნორმალურ ჩარჩოებს არ უნდა გაცდეს“.

პაპუნა კედია



ტიმ და შონ კეჰილები



პოლიციამ ეს ჟესტი დაიწუნა

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მერვეფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

რეალი (ესპანეთი) — რომა (იტალია) (1:2)
სავარაუდო შემადგენლობები

რეალი: კასილიასი, მ. ტორესი, კანავარო, პეპე, პაინცე, დიარა, გაგო, გუტი, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
რომა: დონი, პანუჩი, მექსესი, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, პიზარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

სპალეტი კარს არ დაკეტავს

გუტი რობინიოთი უტევს

ზედიზედ სამი სეზონია, „რეალი“ მეოთხედფინალში არ გასულა. მადრიდელებისთვის „რომა“ უხერხული მეტოქეა — „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სამჯერ შეხვდნენ და მხოლოდ ერთხელ მოუგეს, ერთი ფრედ დაასრულეს და ერთიც წააგეს.

„რეალმა“ შაბათს სტუმრად „უელვას“ 3:2 აჯობა. შეცვლაზე შესულმა რობინიომ 17 წუთში ორი გოლი გაიტანა და თანაგუნდელებს დღესაც მისი იმედი აქვთ.

„რობინიო ჩვენთვის უძვირფასესი ფეხბურთელია — თქვა გუტიმ — როცა ის თამაშობს, საქმე ყველას გვიადვილდება. ფენომენია და მატჩის შემობრუნება შეუძლია. „რომასთან“ 1:0-იც გვეყოფა, მაგრამ მეტოქე საკმაოდ ძლიერია და დაცვაში ყურადღებით უნდა ვიყოთ“.

„უელვასთან“ დავამტკიცე, რომ „რომასთვის“ შზად ვარ — განაცხადა რობინიომ — სამი კვირა გამიცდა და თამაში ძალიან მომენატრა“.

ფაბიო კანავარო: „ჩემი აზრით, რომაელებს მეოთხედფინალში გასვლის მეტად მცირე შანსი აქვთ. მართალია, ლუჩანაო სპალეტის კარგი გუნდი ჰყავს, რაც პირველ მატჩშიც გამოჩნდა, მაგრამ ჩვენ სახლში ვთამაშობთ და ეს უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ. მე 1:0-ზეც ყაბულს ვარ“.

რომალებმა ჩემპიონატში „პარმას“ 4:0 მოუგეს და ერთი გოლი ფრანჩესკო ტოტიმ მიითვალა. მას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ორჯერ გაუტანია და დღესაც აპირებს: „ეს სტადიონი კარგად მაქვს დაცდილი და ვიმედოვნებ, რომ უგოლოდ ამჯერადაც არ წავალ“. ლუჩანო სპალეტი: „პარმასთან“ ერთი შეხედვით იოლად მოვიგეთ, სინამდვილეში კი გამარჯვება ბიჭების თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ფეხბურთელები ჯანს არ უჩივიან და „რეალისთვის“ საგულდაგულოდ ემზადებიან. მადრიდშიც თუ ისე ვითამაშებთ, როგორც „პარმასთან“, მეოთხედფინალში უნდა გავიდეთ.

„რეალიდან“ ყველაზე სახიფათო რობინიოა. ის თავადაა ფეხბურთი. ძალიან ნიჭიერია, სწრაფად აზროვნებს და მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნებას თუ ვეცდებით, დიდი პრობლემები შეგვექმნება, რადგან „რეალი“ კარგადაა დაბალანსებული და დაცვა თუ შეტევა შესანიშნავად ეხერხება“.

რომაელებს ტრავმის გამო მცველი მარკო კასეტი დააკლდებათ, ჟუანის და დავიდ პიზაროს თამაში კი საეჭვოა. თუ ვერ გამოჯანმრთელდნენ, მათ მატეო ფერარი და ალბერტო აკვილანი შეცვლიან.

„რეალს“ დაშვებული ჰყავს რუუდ ვან ნისტელროი და არიენ რობენი. სერხიო რამოსი დისკვალიფიცირებულია, მაგრამ სამაგიეროდ, პეპე გამოკეთდა, რომელსაც ერთი თვე გაუცდა.

ვაჟა ხუციშვილი

ფრანჩესკოს სჯიან. კოლინას ლანძღავენ და რა შუაშია საფულე?

„რომას“ კაპიტან ფრანჩესკო ტოტის იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტისგან სასჯელი ელის. სტეფანო პალაცის გადასწყვეტია, „პუბონეს“ ფულით დაჯარიმებს თუ დისკვალიფიკაციით.

საქმე ის არის, რომ ტოტის იტალიის ფეხბურთის ფედერაციისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების პირდაპირი თუ ირიბი შეურაცხყოფა, მათ პატიოსნებაში ეჭვის შეტანა ედება ბრალად.

ყველაფერი თებერვლის პირველ ნახევარში დაიწყო, როცა „ინტერმა“ „კატანიას“ 2:0 მოუგო და ეს მსაჯების შეცდომების დაუხმარებლად შეძლოო, რომ ვთქვათ, მართალი არ იქნება. ამ შეხვედრის მერე ტოტიმ საინტერესო კომენტარი გააკეთა.

„მილანელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ამავდროულად ყოველთვის რაღაც ხდება და „ინტერი“ იგებს. ვფიქრობ, კალჩოპოლის სკანდალის მერე მსაჯებს ქვეცნობიერად აქვთ გამჯდარი, რომ „ნერაძურის“ უნდა დაეხმარონ. ნამდვილად არ მინდა, ეს „ინტერზე“ შეტევად ჩამეთვალოს, მილანელებს ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავთ და მატჩებს მინდორზე იგებენ, მაგრამ არბიტრებიც ეხმარებიან ხოლმე. არა მგონია, „ნერაძურის“ იგივე ან მსგავსი რამეები ჰქონდეს ჩადენილი, რაც „იუვენტუსმა“ ჩაიდინა“ — თქვა მაშინ ტოტიმ.

27 თებერვალს „რომა“ „ინტერს“ ესტუმრა და ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს 88-ე წუთამდე სწორედ ტოტის გოლით იგებდა კიდეც, მაგრამ „ნერაძურის“ კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ ანგარიშის გათანაბრება შეძლო. იქამდე კი „ჯალაროსის“ ფილიპ მექსესი გაუძევეს.

ამას ტოტის მორიგი კომენტარი მოჰყვა: „მსაჯმა რობერტო როზეტიმ ყველაფერი გააფუჭა. ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და მოგებას ვიმსახურებდით. მართალი ვიყავი, როცა ვთქვი, „ინტერს“ ეხმარებიანმეთქი. ძალიან დამწუხრებული ვარ — მთელი კვირა თავდაუზოგავად ვარჯიშობ და რისთვის? იმისთვის, რომ ბოლოს მაინც „ინტერი“ დარჩეს გამარჯვებული, რადგან მაგარია და ვილაც ეხმარება?“

ამ სიტყვებისთვის ტოტის სასჯელი კი ელის, მაგრამ იმ ფაქტს ვერსად გავექცევით, რომ კალჩოპოლის სკანდალის მერე იტალიაში მსაჯობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია.

ისიც ფაქტია, რომ არბიტრების შეცდომებით, ყველაზე მეტად, კალჩოპოლის მთავარი „შემოქმედი“ თუ მსხვერპლი, „იუვენტუსი“ ზარალდება. მაგალითად, „რეჯინასთან“ ამასწინანდელ მატჩში ტურინელთა სასარგებლოდ სამი აშკარა პენალტი არ დანიშნეს, ბოლო წუთზე კი მათ კარში საკამათო თერიმეტმეტრიანი დადეს და „იუვეს“ წაგო — 1:2.

ერთი, რაზეც ყველა თანხმდება, ის არის, რომ მსაჯები მართლაც ხშირად ცდებიან და ეს ხარვეზები გამოსასწორებელია. მთავარი ზეწოლა მსაჯების დამნიშვნელ პიერლუიჯი კოლინაზეა. დიდი ხანია, მას მუქარის წერილებს უგზავნიან და 2007 წლის დეკემბერში დაცვაც დაუნიშნეს.

ახლახან კი კოლინასთვის სიმბოლურად საფულე გაუგზავნიათ. თავად იგი გასულ უქმეებზე „სამპდორია“ — „ტორინოს“ მატჩს დაესწრო და, როცა მინდვრიდან ანტონიო კასანო გააძევეს, გენუელთა ფანებისგან სიტყვიერი შეურაცხყოფის მოსმენა მოუხდა.

„ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი რაღაცები ხდება. ასეთი საქციელის ჩამდენ ხალხზე ყურადღების გამახვილებაც არ ღირს, რადგან, რაც უნდა ვთქვათ, ისინი უფრო სულელურად მოიქცევიან“ — აღნიშნა „ემპოლის“ მწვრთნელმა ალბერტო მალეზანიმ.

„სამპდორიას გენერალურმა მენეჯერმა ვჯუზეპე მაროტამ კოლინას საჯაროდ მოუბოდიშა, არიგო საკიმ კი ამ ფაქტს სამარცხვინო უწოდა.

ფრანჩესკო ტოტის (მარჯვნიგ) ფედერაციის პატიოსნებაში ეჭვის შეტანა ბრალდება

გიორგი ძაძაბაძე

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ჩელსი (ინგლისი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (0:0)
საშვარაუდო შემადგენლობები

ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბალაკი, ესიენი, ლამპარდი, ჯ. კოული, დროგბა, ს. კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ჟევლაკოვი, ჟულიო სეზარი, ანცასი, პანტოსი, ლედესმა, ტოროსიდისი, ჯორჯევიჩი, მენდრინოსი, სტოლტიდისი, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

გრანტმა სამზარეულო დაალაგა

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთ მატჩში „ჩელსის“ გოლი არ გაუშვია და ალბათ „ოლიმპიაკოსსაც“ გაუჭირდება მასპინძელთა დაცვის გარღვევა. საერთოდ კი, „ჩელსი“ ყველა შეჯიბრში უკვე 59 საშინაო შეხვედრაში არ დამარცხებულა. ბოლოს „სტემფორდ ბრიჯზე“ ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში „ბარსელონამ“ (2006) მოიგო.

„ოლიმპიაკოსმა“ ჯგუფურ ეტაპზე ორ გასვლით თამაშში იმარჯვა, მაგრამ ინგლისში პირეოსელთა სტუმრობა ყოველთვის მარცხით სრულდებოდა — შვიდიდან შვიდი შეხვედრა წააგეს და ექვსში სამი და მეტი გოლი გაუშვეს.

„ჩელსიმ“ აქამდე მხოლოდ ერთხელ უმასპინძლა ბერძნულ გუნდს — უეფას თასზე (1970-71) სალონიკის „არისი“ 5:1 გაანადგურა.

„ოლიმპიაკოსთან“ პირეოსული მატჩის შემდეგ ავრაამ გრანტი თავისი ფეხბურთელების გარჯით უკმაყოფილო დარჩა. ამას მოჰყვა ლიგის თასის ფინალში „ტოტენჰემთან“ წაგება და „ჩელსის“ მწვრთნელის თავზე პირველად შეიყარა შავი ღრუბლები ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ. გრანტმა გუნდი შეაჯანჯღარა და გასულ შაბათს „ვესტ ჰემი“ სტუმრად 4:0 დაამარცხა. გოლები ლამპარდმა, ბალაკმა, ჯო და ეშლი კოულებმა გაიტანეს.

ავრაამ გრანტი: „ვესტ ჰემთან“ მოგებით ყველას ვაჩვენეთ, რომ გუნდში პობლემები არაა, როგორც ამას მედიაში წერდნენ. ნებისმიერი კლუბის სამზარეულოში ხდება არეულობა, რაც ქვეყნის სალაპარაკო ხდება ხოლმე, მაგრამ მტრების ჯინაზე ყველაფერი მალე მოვაგვარეთ“.

შონ რაიტ-ფილიპსი: „ჩვენ ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს, რომ ბევრი ჯილდოს მოგება შეგვიძლია. თამაშიდან თამაშამდე უნდა მოვუმატოთ და დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავალთ. „ვესტ ჰემთან“ საუცხოო ფეხბურთი ვაჩვენეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ“.

ავრაამ გრანტმა განაცხადა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის აქვს. დღეს სასტარტოში, სავარაუდოდ, ნიკოლა ანელკა არ იქნება. შეტევაში ჯო კოული, სალომონ კალუ და დიდიე დროგბა ითამაშებენ.

„ოლიმპიაკოსს“ ტრეზორ ლომახა ლუა ლუა და ლუჩანო გალეტი დააკლდებიან. პანაიოტის ლემონისის გუნდმა შაბათს ჩემპიონატში „ტრიპოლისთან“ შინ 1:1 ითამაშა.

ვაჟა ხუციშვილი



წასვლა გრანტირებულია

„ჩელსის“ ბანაკიდან ასეთი სიახლეა: თუ გუნდის ახლანდელი მწვრთნელი, ავრაამ გრანტი მომავალ სეზონშიც თანამდებობაზე დარჩება, შესაძლოა, რამდენიმე ვარსკვლავმა სხვა კლუბს მიაშუროს. ეს ვარსკვლავები არიან რიკარდუ კარვალიუ, დიდიე დროგბა, ფრენკ ლამპარდი და მიკაელ ესიენი.

„ლურჯების“ სულ უფრო მეტი და მეტი მოთამაშე იღლება გრანტის წვრთნის მეთოდებისგან და სულ უფრო მეტად და მეტად რწმუნდებიან, რომ ამ სპეციალისტს გუნდის ტაქტიკური მომზადებისთვის ოსტატობა არ ყოფნის.

გუნდის საქმეებში გარკვეულმა მავანმა პიროვნებამ ჟურნალისტებს უთხრა:

„უკვე ძალიან ბევრი ფეხბურთელი კითხულობს გრანტის შესახებ ამას თუ იმას და, მერწმუნეთ, თუ ის მომავალ სეზონშიც „ჩელსის“ მწვრთნელი იქნება, გუნდიდან რამდენიმე ცნობილი მოთამაშე წავა. ბიჭები მწვრთნელს აშკარად არ ენდობიან. ისინი ფიქრობენ, რომ გრანტს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება არ შეუძლია. ვიცი, ბოლო დროს „ბარსელონადან“ ფრანკ რაიკარდის გადმოყვანაზე ლაპარაკობენ, მაგრამ „ჩელსის“ მაპატრონე რომან აბრამოვიჩი ისე იქცევა, თითქოს ამის შესახებ არაფერი სმენია. მეტიც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ აბრამოვიჩი გრანტის შეცვლას არც აპირებს...“

პაპუნა კედია

წამოდით, ბიჭებო, ომობანა ვითამაშოთ!

შენ დაუკარ! „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერის გუნდში პეინტბოლი გაუჩაღებია და ამაზე ლონდონელთა გერმანელი ვარსკვლავი მიხაელ ბალაკი მოგვითხრობს.

ოღონდ, უპირველეს ყოვლისა ის ვთქვათ, თუ რა საჭირო იყო ერთმანეთის საღებავებით თხიპნა და ომობანას თამაში. როგორც ირკვევა, ეს „ლურჯებმა“ „ქარლინგის თასის“ ფინალში დამარცხების შემდეგ, დაცემული სულის ასამაღლებლად გამოიგონეს.

სად ითამაშეს ომობანა? სად და თავიანთი საწვრთნელი ცენტრის შემოგარენში, სადაც საამისოდ შესაფერისი ადგილები ყოფილა. მიხაელ ბალაკი ამტკიცებს, რომ თამაშმა ზუსტად ის შედეგი გამოიღო, რასაც მისი ორგანიზატორები გეგმავდნენ. სწორედ პეინტბოლის შემდეგ გაანადგურეს ლონდონელებმა მეორე ლონდონელები, „ვესტ ჰემი“ (4:0), დღეს კი, ჩემპიონთა ლიგაში „ოლიმპიაკოსს“ უპირებენ შეჭმას.

შეგახსენებთ, „ჩელსის“ ყალიბის გუნდებისთვის სეზონის ყოველი ტიტული მნიშვნელოვანია, ინგლისური პრემიერლიგის წარმომადგენელს ოთხი ჯილდოს მოხვეჭა შეუძლია, ასე რომ „ლურჯებს“ მოსახვეჭად სამი დარჩათ: ფეხბურთის ასოციაციის თასი, საკუთრივ ინგლისის ჩემპიონის ტიტული და ჩემპიონთა ლიგის სანუკვარი თასი.

„თასის ფინალში დამარცხების შემდეგ დამატებითი მოტივაცია გვჭირდებოდა, რაღაც განსხვავებული გვინდოდა — ყვება ბალაკი — როდესაც ასეთი დიდი მნიშვნელობის თამაში არ გამოდის, გუნდის ყველა წევრი ცოტა დათრგუნულია და სურს, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ სინამდვილეში გაცილებით უკეთ შეუძლია თამაში. პეინტბოლი, რომელიც ჯონ ტერიმ მოაწყო, ფეხბურთთან დიდ კავშირში არ არის, მაგრამ აკი გითხარით, სეზონის განმავლობაში რთული დღეები დგება ხოლმე და სწორედ მაშინ გინდა რაიმე განსხვავებულის გაკეთება. „ტოტენჰემთან“ მარცხის შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთი დღეები გვქონდა. ახლა რომ გითხრათ, „ვესტ ჰემს“ მაინცდამაინც პეინტბოლის გამო მოვუგეთ-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ გონების გასაწმენდათ კარგი იყო“.

რამდენჯერმე „ვესტ ჰემთან“ გამარჯვება ვახსენეთ... ჯონ ტერიმ ჯო და ეშლი კოულებთან ერთად ამ შეხვედრაში გოლი გაიტანა, თუმცა „ქარლინგის“ თასზე წაგებული ფინალი არ ავიწყდება და ამბობს, რომ კრიტიკას არ უნდა მიუყრუონ:

„კრიტიკა უნდა მივიღოთ. მართალია, ერთი თამაში წავაგეთ, მაგრამ ეს დიდი თამაში გახლდათ და სწორედ ამიტომ გაგვკიცხეს უფრო მწარედ, ვიდრე ჩვეულებრივი მატჩის წაგების შემდეგ გვკიცხავენ ხოლმე“.

პაპუნა კედია

დუბაი-ბაი, ამერიკელებო!

თუმცა ჰიკსი ლივერფულს აგროვებს

ტომ ჰიკსი

ბოლო ინფორმაცია: „დუბაი ინტერნეშენალ ინვესტმენტმა“ „ლივერპულის“ შესაძენად 400 მილიონი გირვანქა გამოჰყო. როგორც ინგლისური პრესა გვარწმუნებს, მერსისაიდელთა მეპატრონეები ტომ ჰიკსი და ჯორჯ ჯილეტი შემოთავაზებას განიხილავენ, ხსენებულ კორპორაციას კი (რომელსაც შეიხი მუჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაჰთუმი ხელმძღვანელობს) სწრაფად უნდა პასუხის მიღება. სხვა მხრივ კი საქმე ასეა:

როგორც ამბობენ, ტომ ჰიკსი ფულს ეძებდა, რათა თავისი ბიზნეს-პარტნიორისგან, ჯორჯ ჯილეტისგან „ლივერპულის“ წილი გამოესყიდა და მერსისაიდული კლუბის ეთპიროვნული მეპატრონე გამხდარიყო.

დიახ, ბოლო დღეებმა ჰიკსსა და ჯილეტს შორის დაძაბულ მოლაპარაკებებში ჩაიარა. ჰიკსი ცდილობდა, პარტნიორი დაერწმუნებინა, რომ მას თავისი წილი „დუბაი ინტერნეშენალ ინვესტმენტისთვის“ არ უნდა მიეყიდა, „ლივერპულის“ მიმართ არაბთა დამოკიდებულება და მათი მძაფრი სურვილი, ამ კლუბის მეპატრონენი გახდნენ, კი დიდი ხანია, ცნობილია.

„დუბაი ინტერნეშენალ ინვესტმენტის“ აღმასრულებელმა შეფმა სამირ ალ-ანსარიმ განაცხადა:

„ჩვენ არც ვმალავთ, რომ „ლივერპულის“ ამჟამინდელ მეპატრონეებთან მოლაპარაკებებს ვმართავთ, თუმცა მოლაპარაკებები იოლად არ მიდის, რადგან მეპატრონენი მეტისმეტად დიდ თანხას ასახელებენ“.

რას ეწოდება მეტისმეტად დიდი თანხა? და შეთავაზებული 400 მილიონი არაბთა მხრიდან არის დათმობა თუ ამერიკელთა მხრიდან? ეს ჩვენთვის უცნობია. ალბათ, მაინც არაბებმა გაიღეს დაუნანებლად, ოღონდ სწრაფი პასუხის იმედით.

და კიდევ ერთი, როგორც ირკვევა, ჰიკსსა და ჯილეტს ერთმანეთში გაფორმებული აქვთ კონტრაქტი, რომლის თანახმადაც თავიანთი წილი აქციების გაყიდვაში ერთმანეთისთვის ხელის შეშლა შეუძლიათ.

პაპუნა კედია

ბერტ ვან მარვიკი

უკეთესი არ არსებობს

ევრო 2008-ის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებს ბერტ ვან მარვაიკი ჩაიბარებს, რომელიც ამჟამად „ფეიენოორდს“ თავკაცობს. იგი მარკო ვან ბასტენს შეცვლის, ვინაც ცოტა ხნის წინ კონტრაქტი „აიაქსთან“ გააფორმა.

ვან მარვაიკმა ფედერაციასთან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის (2010) დასრულებამდე გაუძღვება. მას „ფეიენოორდთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე ჰქონდა და ნაადრევად გაწყვეტის გამო ფედერაცია კლუბს კომპენსაციას გადაუხდის.

ბერტ ვან მარვაიკი მარკ ვან ბომელის სიმამრია, რომელმაც მსოფლიოს წინა ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში თამაში იუარა. სანამ მანდ ვან ბასტენი იქნება, გუნდში ჩემს ფეხს ვერ ნახავთო.

„მოხარულები ვართ, რომ ვან მარვაიკი დაგვთანხმდა. იგი ჩვენს კანდიდატთა ნუსხაში თავიდანვე იყო. მას მხოლოდ ჰოლანდიის ჩემპიონატში კი არა, ევროთასზეც მოუგია ჯილდო“ — თქვა ფედერაციის დირექტორმა ჰენკ კესლერმა.

55 წლის ბერტ ვან მარვაიკი ფეხბურთელობისას მარცხენა ნახევარმცველი იყო და ნაკრებში მხოლოდ ერთხელ უთამაშია. საკლუბო კარიერისას კი „იგლსი“, „ალკმაარი“, „მაასტრიხტი“ და „ფორტუნა“ მოიარა. მწვრთნელობა „ფორტუნაში“ დაიწყო, სადაც ორი სეზონი გაატარა, 2000-ში „ფეიენოორდი“ ჩაიბარა და 2002 წელს უეფას ფინალში „დორტმუნდს“ მოუგო, რომლის მწვრთნელიც მოგვიანებით (2004) გახდა.

„ნაკრების თავკაცობა უმაღლესი მწვერვალია ნებისმიერი მწვრთნელის კარიერაში — თქვა ახალდანიშნულმა — უკეთესი რაღა უნდა იყოს, მე ხომ ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელებთან მუშაობა ძალიან მწყევს. დიდი მადლობა „ფეიენოორდის“ შეფებს, რომ ნაადრევად წასვლის ნება მომცეს“.

მედიის ცნობით, ბერტ ვან მარვაიკის თანაშემწეები ფრანკ დე ბური, ფილიპ კოკუ და დიკ ვეორნი იქნებიან.

ვაჟა ხუციშვილი

ლიპის მესამედ მოსვლა?

ტურინის „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილმ განაცხადა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ოთხეულში მოვხვდებით და ჩვენს მწვრთნელ კლაუდიო რანიერისაც ბოლომდე ვენდობითო.

ბოლო სამი მატჩიდან „ბებერმა ქალბატონმა“ ორი წააგო და ერთხელ ფრედ ითამაშა. გასულ უქმეებზე „ბიანკონერი“ შინ „ფიორენტინასთან“ მნიშვნელოვან მატჩში დამარცხდა და ოთხეულში მოხვედრა გვარიანად სათუო გაიხადა.

„ინტერსა“ და „რომას“ პირველმეორე ადგილები, ფაქტობრივად, განაღდებული აქვთ. ჩემპიონთა ლიგის დანარჩენი ორი საგზურისთვის კი „იუვეს“, სულ მცირე, ორი სერიოზული შემცილებელი ჰყავს — „ფიორენტინა“ და „მილანი“. ასე რომ, ტურინელებს ქულების ფლანგვის უფლება აღარ აქვთ.

„არც კი გვინდა, იმაზე ვიფიქროთ, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვერ ვითამაშებთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ფორმას აღვიდგენთ და საბოლოოდ ოთხეულში უპრობლემოდ მოვხვდებით. რაც შეეხება რანიერის, იგი ბრწყინვალე მწვრთნელად რჩება. აქამდე მას ყველა აქებდა და ერთი წაბორძიკების გულისთვის ასეთ კრიტიკას არ იმსახურებს“ — თქვა კობოლი ჯილმ.

პრესაში კი კვლავ მარჩელო ლიპიზე ალაპარაკდნენ. 59 წლის სპეციალისტი 2006 წლის მუნდიალის მერე უმუშევარია და დასვენება ძალიან გაუგრძელდა. იგი ფეხბურთში დაბრუნებას მომავალ ზაფხულს აპირებს.

ამბობენ, ჭაღარა ტაქტიკოსს ორი მთავარი მსურველი ჰყავს — „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“. ტურინელების არ იყოს, დღეს იდეალურად არც კატალონიელთა საქმეები მიდის და ფრანკ რაიკარდის წასვლაზეც საუბრობენ.

სხვათა შორის, „იუვენტუსს“ ლიპის დანიშვნა გასულ ზაფხულსაც სურდა, მაგრამ მაშინ მან მოკლედ განაცხადა — არა მგონია, ახლა ჩემი დაბრუნება სწორი იყოს, მომავალში ვნახოთო.

ლიპი „იუვენტუსს“ ორჯერ წვრთნიდა — 1994-1999 და 2001-2004 წლებში. ამ პერიოდში მან გუნდთან ერთად, ფაქტობრივად, ყველაფერი მოიგო როგორც იტალიაში, ასევე ევროპაში.

გიორგი კაკაბაძე

მოჯი პოლიტიკაში მიდის

ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორი და კალჩოპოლის სკანდალის მთავარი „გმირი“ ლუჩანო მოჯი პოლიტიკაში წასვლაზე ფიქრობს. „კორიერე დელა სერასთვის“ მიცემულ ინტერვიუში 70 წლის მოჯიმ განაცხადა, რომ 13-14 აპრილს გასამართ არჩევნებში შესაძლოა პიერ ფერდინანდო კაზინის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის სიით მიიღოს მონაწილეობა.

„თუ პოლიტიკაში წასვლა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე, „იუვენტუსის“ ფანების 75 პროცენტი ხმას მომცემს“ — დარწმუნებით განაცხადა მოჯიმ.

უხეშად რომ დავთვალოთ, მოჯის 9 მილიონი პოტენციური ამომრჩეველი ჰყავს, რადგან ამბობენ, იტალიის მასშტაბით „იუვეს“ 12 მილიონი ქომაგობსო.

თანამედროვე „ლაქი ლუჩანომ“ თავისი მთავარი მტერი „ინტერისთვისაც“ მოიცალა: „მსაჯები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ადრე. მათი სიმპათიები ძლიერისკენაა. მაგალითად, რაც „ნერაძურისა“ და „რომას“ მატჩში მოხდა, სამარცხვინო იყო. რობერტო როზეტის ინტერელი ნიკოლას ბურდისო უნდა გაეგდო და სანაცვლოდ რომაელი ფილიპ მექსესი გააძევა“.

ცოტა ხნის წინ მოჯიმ „იუვენტუსის“ ახლანდელი სატრანსფერო პოლიტიკა გააკრიტიკა და ისიც თქვა, ახლა რომ კლუბში ვიყო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, კრიშტიანუ რონალდუ და ანტონიო კასანო უკვე „ბიანკონერის“ წევრები იქნებოდნენო. თუმც ისიც აღნიშნა, უშუალოდ კლუბის სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოსთან პრეტენზიები არ მაქვს, ჩემს ხელში გაზრდილი ნიჭიერი ბიჭია და ამას ყოველდღიურად დაამტკიცებსო.

გიორგი კაკაბაძე

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ფრაიბურგი 1:1 მაინცი

გლადბახი	22	11	8	3	43:26	41
მაინცი	22	10	7	5	37:22	37
ფიურტი	22	10	7	5	36:26	37
ჰოფენჰაიმი	22	10	7	5	36:29	37
კიოლნი	22	10	6	6	40:30	36
ვეჰენი	22	9	8	5	36:31	35
ფრაიბურგი	22	9	8	5	32:27	35
მიუნხენი	22	8	9	5	31:23	33
კობლენცი	22	7	9	6	28:30	30
ალემანია	22	7	8	7	31:31	29
აუგსბურგი	22	7	6	9	29:32	27
ზანკტ პაული	22	6	8	8	28:33	26
ოფენბახი	22	6	8	8	26:38	26
ოსნაბრიუკი	22	6	7	9	31:41	25
აუე	22	6	4	12	30:38	22
ლაუტერნი	22	4	8	10	22:27	20
პადერბორნი	22	2	10	10	15:32	16
კარლ ცაისი	22	3	6	13	30:45	15

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XIX ტური

სიგმა 0:0 სპარტა

სლავია	19	12	5	2	30:11	41
სპარტა	19	11	4	4	37:16	37
ბანიკი	19	9	7	3	31:19	34
ტეპლიცე	19	10	3	6	25:18	33
ბრნო	19	9	5	5	29:25	32
პლზენი	19	8	5	6	21:22	29
ბოლესლავი	19	6	8	5	22:20	26
ლიბერეცი	19	6	6	7	19:18	24
ბუდეიოვიცე	19	6	5	8	22:23	23
სიგმა	19	4	11	4	12:15	23
ზლინი	19	6	5	8	17:23	23
ჟოტკოვი	19	6	4	9	25:36	22
იაბლონეცი	19	4	7	8	12:18	19
კლადნო	19	4	4	11	22:31	16
ბოჰემიანსი	19	3	6	10	13:26	15
მოსტი	19	2	7	10	20:36	13

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXI ტური

ტრუა 4:1 ლე ავრი

ლე ავრი	26	15	8	3	44:25	53
ნანტი	26	15	7	4	41:22	52
ტრუა	26	14	8	4	37:21	50
ბასტია	25	12	6	7	34:23	42
გრენობლი	26	11	8	7	32:24	41
მონპელიე	26	10	9	7	28:20	39
კლერმონი	26	9	12	5	35:28	39
სედანი	26	9	9	8	31:30	36
ანჟერი	26	9	9	8	24:23	36
აიაჩო	26	9	9	8	27:30	36
ბრესტი	26	9	7	10	22:30	34
გენგამი	26	8	9	9	25:25	33
ბულონი	26	8	6	12	28:36	30
რეიმსი	25	8	6	11	28:38	30
ამიენი	26	7	8	11	32:35	29
შატორუ	26	7	8	11	25:30	29
ნიორი	26	7	5	14	24:32	26
დიჟონი	26	5	11	10	21:36	26
ლიბურნი	26	4	9	13	29:43	21
გენიონი	26	2	8	16	25:41	14

პორტუგალია

სუპერლიგა. XXI ტური

ფერეირა 1:2 ბელენენსეში

პორტუ	21	16	3	2	38:7	51
ბენფიკა	21	10	9	2	33:12	39
გიმარაეში	21	10	5	6	23:23	35
სპორტინგი	21	9	7	5	28:18	34
სეტუბალი	21	8	10	3	29:20	34
ბელენენსეში	21	8	8	5	22:21	32
მარიტიმუ	21	9	3	9	26:22	30
ნასიონალი	21	7	8	6	15:14	29
ბრაგა	21	6	9	6	23:25	27
ბოავიშტა	21	5	10	6	24:31	25
ამადორა	21	4	10	7	24:26	22
აკადემიკა	21	4	10	7	22:31	22
ლეიშოეში	21	3	12	6	21:25	21
ნავალი	21	5	5	11	15:31	20
ფერეირა	21	4	4	13	20:34	16
ლეირია	21	1	5	15	16:39	8

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		5 მარტი						
23:45	50	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.50	3.60	7.00	1.05	1.23	2.37
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		5 მარტი						
23:45	72	ქოვენთრი-ქპრ	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		5 მარტი						
23:45	37	ერდრი-ბერიკი	1.20	5.30	12.00	1.00	1.09	3.67
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		5 მარტი						
23:45	38	არბროთი-დამბარტონი	1.65	3.70	4.20	1.14	1.18	1.96
23:45	39	ელგინი-ალბიონი	1.90	3.40	3.30	1.21	1.20	1.67
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		7 მარტი						
23:30	158	დორტმუნდი-ჰერტა	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
		8 მარტი						
18:30	155	შტუტგარტი-ვერდერი	2.30	3.30	2,70	1.35	1.24	1.48
18:30	157	აინტრახტი-ბოხუმი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
18:30	160	ვოლფსბურგი-კოტბუსი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
18:30	162	ბაიერნი-კარლსრუე	1.25	4.70	9.50	1.00	1.10	3.14
18:30	164	დუისბურგი-ჰანზა	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:30	165	არმინია-შალკე	3.60	3.30	1.90	1.72	1.24	1.20
		9 მარტი						
20:00	156	ნიურნბერგი-ჰამბურგი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
20:00	159	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		5 მარტი						
22:00	20	აუსტრია-ლინცერი	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
22:00	21	ზალცბურგი-ტიროლი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		8 მარტი						
20:45	45	გრასჰოპერი-თუნი	1.50	3.70	5.70	1.06	1.18	2.24
20:45	46	ლუცერნი-სიონი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
		9 მარტი						
19:00	47	ბაზელი-სტ.გალენი	1.30	4.70	7.50	1.01	1.10	2.88
19:00	48	ქსამაქსი-აარაუ	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
19:00	49	იანგ ბოიზი-ციურიხი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
		იტალია. სერია A						
		8 მარტი						
21:00	200	ინტერი-რეჯინა	1.30	4.70	8.50	1.01	1.12	3.02
23:30	205	პალერმო-უდინეზე	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
		9 მარტი						
18:00	199	ემპოლი-მილანი	5.10	3.20	1.70	1.96	1.27	1.11
18:00	202	ნაპოლი-რომა	3.40	3.10	2.10	1.62	1.29	1.25
18:00	204	პარმა-სამპდორია	2.10	3.00	3.55	1.23	1.31	1.62
18:00	206	ტორინო-ატალანტა	2.10	2.90	3.70	1.21	1.33	1.62
18:00	207	კატანია-კალიარი	1.85	3.00	4.65	1.14	1.32	1.82
18:00	208	სიენა-ფიორენტინა	3.30	2.90	2.25	1.54	1.33	1.26
23:30	209	ჯენოა-იუვენტუსი	3.30	3.00	2.20	1.57	1.32	1.26
18:00	211	ლაციო-ლივორნო	1.65	3.20	5.60	1.08	1.27	2.03
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		8 მარტი						
23:45	243	სარაგოსა-ატლეტიკო	2.50	3.20	2.65	1.40	1.28	1.44
23:00	250	რეალი-ესპანიოლი	1.45	3.80	7.00	1.04	1.20	2.46
		9 მარტი						
20:00	241	სევილია-ლევანტე	1.25	5.30	11.00	1.01	1.12	3.57
23:45	244	ბარსელონა-ვილიარეალი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
20:00	245	ოსასუნა-ალმერია	2.05	3.10	3.50	1.23	1.29	1.64
20:00	246	ბილბაო-ვალიადოლიდი	2.05	3.20	3.55	1.24	1.29	1.68
20:00	247	რასინგი-ბეტისი	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
20:00	248	მურსია-ხეტაფე	2.80	3.10	2.45	1.47	1.30	1.36
20:00	249	მალიორკა-უელვა	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	252	ვალენსია-დეპორტივო	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		8 მარტი						
23:00	265	ნიცა-ლე მანი	2.20	3.00	3.20	1.26	1.30	1.54
23:00	266	ოსერი-ლანსი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
23:00	267	ვალენსიენი-ლილი	2.15	2.80	3.50	1.21	1.33	1.55
23:00	268	კაენი-ლორიანი	2.15	2.80	3.60	1.21	1.34	1.57
23:00	269	სტრასბური-მეცი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
23:00	270	ნანსი-მონაკო	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
20:15	271	რენი-პსჟ	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
23:00	273	ტულუზი-სოშო	2.30	2.80	3.20	1.26	1.33	1.49
		9 მარტი						
23:45	264	ლიონი-ბორდო	1.80	3.10	4.50	1.13	1.28	1.83
21:00	272	მარსელი-სტ.ეტიენი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		7 მარტი						
23:30	305	ჰერაკლესი-უტრეხტი	2.45	3.25	2.60	1.39	1.26	1.44
		8 მარტი						
22:30	306	ჰერენვენი-ბრედა	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
22:30	307	ტილბურგი-გრონინგენი	2.70	3.30	2.30	1.48	1.24	1.35
23:00	309	ექსელსიორი-ვიტესი	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
23:00	310	ნაიმეგენი-გრააფსხაპი	1.55	3.80	5.20	1.10	1.19	2.19
		9 მარტი						
17:30	311	სპარტა-როდა	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
15:30	312	ალკმაარი-ფეიენოორდი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
15:30	314	ვენლო-ტვენტე	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
		საბერძნეთი						
		5 მარტი						
18:30	33	აეკ-ქსანთი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
21:00	34	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	6.20	3.50	1.50	2.23	1.20	1.04
		ჩილე						
		5 მარტი						
23:45	415	პალესტინო-ნუბლენსე	2.25	3.20	2.70	1.32	1.22	1.46
23:45	416	მორნინგი-უ.კონსეპსიონი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:45	417	უაჩიპატო-კობრესალი	1.95	3.25	3.30	1.21	1.22	1.63
23:45	418	უნ.ჩილე-სერენა	1.45	3.80	6.20	1.04	1.17	2.35
23:45	419	ანტოფაგასტა-ოსორნო	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	420	მელიპილა-ევერტონი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
23:45	421	უნ.კატოლიკა-ჰიგინსი	1.45	3.80	6.25	1.04	1.17	2.36
23:45	422	რეინჯერსი-კობრელოა	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:45	423	დ.კონსეპსიონი-უნ.ესპანიოლა	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
		ჩემპიონთა ლიგა						
		5 მარტი						
23:45	5	პორტუ-შალკე	1.75	3.30	4.80	1.14	1.28	1.95
23:45	7	რეალი-რომა	1.60	3.60	5.60	1.10	1.24	2.19
23:45	9	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.30	4.80	9.50	1.02	1.14	3.18
23:45	10	ჩელსი-ოლიმპიაკოსი 0:1	1.70	3.70	3.45			
		უეფას თასი						
		6 მარტი						
22:00	25	ანდერლეხტი-ბაიერნი	4.80	3.40	1.70	1.99	1.25	1.13
23:45	26	მარსელი-ზენიტი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
23:45	27	ფიორენტინა-ევერტონი	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
23:45	28	ბოლტონი-სპორტინგი	2.45	2.90	2.95	1.32	1.33	1.46
23:45	29	რეინჯერსი-ვერდერი	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
23:45	30	ლევერკუზენი-ჰამბურგი	2.25	3.10	3.10	1.30	1.30	1.54
23:45	31	ტოტენჰემი-პსვ	1.70	3.40	4.70	1.13	1.24	1.97
23:45	32	ბენფიკა-ხეტაფე	2.20	3.00	3.20	1.26	1.30	1.54
		ინგლისი. English FA Cup						
		8 მარტი						
16:45	40	მანჩესტერი-პორთსმუთი	1.35	4.40	8.00	1.03	1.15	2.83
21:30	41	ბარნსლი-ჩელსი	9.50	4.20	1.35	2.91	1.18	1.02
		9 მარტი						
18:00	42	მიდლსბრო-კარდიფი	1.70	3.30	4.80	1.12	1.25	1.95

შესაძლო ცვლილებები დაარზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	43	როვერსი-ვესტ ბრომვიჩი	3.40	3.20	2.05	1.64	1.27	1.24
		დანია. თასი						
		8 მარტი						
20:00	760	ნესტვედი-კოპენჰაგენი	15.00	5.50	1.15	4.02	1.06	1.00
		9 მარტი						
17:00	761	სკივე-ესბიერგი	7.50	4.20	1.35	2.69	1.14	1.02
19:00	762	ვეილე-მიდტიულანდი	3.80	3.30	1.85	1.76	1.24	1.18
21:00	763	ბრიონდბიუ-რანდერსი	1.55	3.70	5.20	1.09	1.19	2.16
		ლიბერტადორესის თასი						
		5 მარტი						
23:45	752	დანუბიო-ესტუდიანტესი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:45	753	სან პაულო-აუდახი	1.30	4.40	9.00	1.00	1.13	2.95
23:45	754	ფლუმინენსე-არსენალი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
		6 მარტი						
23:45	755	ნაციონალი-ფლამენგო	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	756	ბოკა ხუნიორსი-ატლასი	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	1.32
23:45	757	ატლეტიკო ნაციონალი-სპორტივო ლუჭუენი	1.65	3.50	4.70	1.12	1.22	2.00
		კალათბურთი						
		ევროლიგა						
		5 მარტი						
21:45	741	პარტიზანი-სიენა	2.30	12.00	1.50	1.93	1.00	1.33
22:15	742	ფენერბაჩე-არისი	1.20	12.00	3.50	1.09	1.00	2.70
23:30	743	ტაუ-რიტასი	1.15	12.00	4.70	1.04	1.00	3.37
23:45	744	უნიკახა-ბარსელონა	1.60	12.00	2.10	1.41	1.00	1.78
		6 მარტი						
22:15	745	ჟალგირისი-რეალი	1.80	12.00	1.80	1.56	1.00	1.56
22:45	746	მაკაბი თა-ოლიმპიაკოსი	1.20	12.00	3.50	1.09	1.00	2.70
23:30	747	რომა-ცსკა მ	2.80	12.00	1.35	2.27	1.00	1.21
23:45	748	პანათინაიკოსი-ეფესი	1.02	12.00	9.00	1.00	1.00	5.14

ერეკლეული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10005	პორტუ-შალკე	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10007	რეალი-რომა	1.95	2.20	5.50	1.03	1.43	1.57
10009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10020	აუსტრია-ლინცერი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10021	ზალცბურგი-ტიროლი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10025	ანდერლეხტი-ბაიერნი	5.10	2.10	2.05	1.48	1.46	1.03
10026	მარსელი-ზენიტი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10027	ფიორენტინა-ევერტონი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10028	ბოლტონი-სპორტინგი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10029	რეინჯერსი-ვერდერი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10031	ტოტენჰემი-პსვ	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10032	ბენფიკა-ხეტაფე	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10033	აეკ-ქსანთი	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	5.50	2.10	1.85	1.51	1.38	1.00
10050	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10072	ქოვენთრი-ქპრ	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11005	პორტუ-შალკე	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11007	რეალი-რომა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11020	აუსტრია-ლინცერი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11021	ზალცბურგი-ტიროლი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11025	ანდერლეხტი-ბაიერნი	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11026	მარსელი-ზენიტი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11027	ფიორენტინა-ევერტონი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11028	ბოლტონი-სპორტინგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11029	რეინჯერსი-ვერდერი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11031	ტოტენჰემი-პსვ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11032	ბენფიკა-ხეტაფე	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11033	აეკ-ქსანთი	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	8.00	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.20
11050	ლივერპული-ვესტ ჰემი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11072	ქოვენთრი-ქპრ	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12005	პორტუ-შალკე	1.50	2.10
12007	რეალი-რომა	1.90	1.70
12009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.70	1.90
12020	აუსტრია-ლინცერი	1.80	1.80
12021	ზალცბურგი-ტიროლი	2.10	1.50
12025	ანდერლეხტი-ბაიერნი	1.80	1.80
12026	მარსელი-ზენიტი	1.60	2.00
12027	ფიორენტინა-ევერტონი	1.60	2.00
12028	ბოლტონი-სპორტინგი	1.60	2.00
12029	რეინჯერსი-ვერდერი	1.70	1.90
12030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.80	1.80
12031	ტოტენჰემი-პსვ	1.80	1.80
12032	ბენფიკა-ხეტაფე	1.60	2.00
12033	აეკ-ქსანთი	1.60	2.00
12034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	1.60	2.00
12050	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.70	1.90
12072	ქოვენთრი-ქპრ	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე ბუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13005	პორტუ-შალკე	1.80	1.80
13007	რეალი-რომა	1.70	1.90
13009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.90	1.70
13025	ანდერლეხტი-ბაიერნი	1.70	1.90
13026	მარსელი-ზენიტი	1.90	1.70
13027	ფიორენტინა-ევერტონი	1.70	1.90
13028	ბოლტონი-სპორტინგი	1.90	1.70
13029	რეინჯერსი-ვერდერი	1.70	1.90
13030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.70	1.90
13031	ტოტენჰემი-პსვ	1.70	1.90
13032	ბენფიკა-ხეტაფე	1.90	1.70
13050	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.80	1.80
13072	ქოვენთრი-ქპრ	1.80	1.80

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18005	პორტუ-შალკე	2.00	1.60
18007	რეალი-რომა	1.60	2.00
18009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.15	4.30
18025	ანდერლეხტი-ბაიერნი	4.80	1.15
18026	მარსელი-ზენიტი	1.60	2.00
18027	ფიორენტინა-ევერტონი	2.00	1.60
18028	ბოლტონი-სპორტინგი	2.00	1.60
18029	რეინჯერსი-ვერდერი	2.30	1.50
18030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	2.00	1.60
18031	ტოტენჰემი-პსვ	1.45	2.45

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წესი ფარულად ჩაითვლება)

14005	პორტუ-შალკე	1.45	2.40
14007	რეალი-რომა	1.30	2.50
14009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.20	2.60
14020	აუსტრია-ლინცერი	1.65	2.30
14025	ანდერლეხტი-ბაიერნი	2.40	1.45
14026	მარსელი-ზენიტი	1.45	2.40
14027	ფიორენტინა-ევერტონი	1.75	2.10
14028	ბოლტონი-სპორტინგი	1.85	1.95
14029	რეინჯერსი-ვერდერი	1.80	2.00
14030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.80	2.00
14031	ტოტენჰემი-პსვ	1.45	2.40
14032	ბენფიკა-ხეტაფე	1.80	2.00
14033	აეკ-ქსანთი	1.20	2.60
14034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	2.50	1.30
14050	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.30	2.50
14072	ქოვენთრი-ქპრ	1.80	2.00

რომელ ტაიმში გაჯა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15005	პორტუ-შალკე	3.00	2.80	2.00
15020	აუსტრია-ლინცერი	3.00	2.80	2.00
15025	ანდერლეხტი-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15026	მარსელი-ზენიტი	3.00	2.80	2.00
15027	ფიორენტინა-ევერტონი	3.00	2.80	2.00
15028	ბოლტონი-სპორტინგი	3.00	2.80	2.00
15029	რეინჯერსი-ვერდერი	3.00	2.80	2.00
15030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	3.00	2.80	2.00
15031	ტოტენჰემი-პსვ	3.00	2.80	2.00
15032	ბენფიკა-ხეტაფე	3.00	2.80	2.00
15033	აეკ-ქსანთი	3.00	2.80	2.00
15034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	3.00	2.80	2.00
15050	ლივერპული-ვესტ ჰემი	3.00	2.80	2.00
15072	ქოვენთრი-ქპრ	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16005	პორტუ-შალკე	1.25	3.40
16007	რეალი-რომა	1.17	4.10
16020	აუსტრია-ლინცერი	1.30	3.00
16025	ანდერლეხტი-ბაიერნი	3.30	1.25
16026	მარსელი-ზენიტი	1.23	3.60
16027	ფიორენტინა-ევერტონი	1.52	2.20
16028	ბოლტონი-სპორტინგი	1.75	1.85
16029	რეინჯერსი-ვერდერი	1.62	2.05
16030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.58	2.10
16031	ტოტენჰემი-პსვ	1.24	3.60
16032	ბენფიკა-ხეტაფე	1.55	2.20
16033	აეკ-ქსანთი	1.10	5.50
16034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	4.10	1.17
16050	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.14	4.70
16072	ქოვენთრი-ქპრ	1.62	2.05

გოლი:ფაქტი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ფაქტად)

17005	პორტუ-შალკე	1.85	1.95
17007	რეალი-რომა	1.85	1.95
17009	ჩელსი-ოლიმპიაკოსი	1.85	1.95
17020	აუსტრია-ლინცერი	1.85	1.95
17021	ზალცბურგი-ტიროლი	1.85	1.95
17025	ანდერლეხტი-ბაიერნი	1.85	1.95
17026	მარსელი-ზენიტი	1.85	1.95
17027	ფიორენტინა-ევერტონი	1.85	1.95
17028	ბოლტონი-სპორტინგი	1.85	1.95
17029	რეინჯერსი-ვერდერი	1.85	1.95
17030	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1.85	1.95
17031	ტოტენჰემი-პსვ	1.85	1.95
17032	ბენფიკა-ხეტაფე	1.85	1.95
17033	აეკ-ქსანთი	1.85	1.95
17034	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	1.85	1.95
17050	ლივერპული-ვესტ ჰემი	1.85	1.95
17072	ქოვენთრი-ქპრ	1.85	1.95

ქართველებმა ფინალებს დაუმიზნეს

მანუჩარ მარკოიშვილის „კიევი“ „რვათა ფინალისკენ“ მიფრინავს

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევი“ ულებ-ის თასის მერვედფინალში გავიდა. მანუს ტიტულები არ აკლია, თუმცა მორიგი ჯილდო არ აწყენდა და ისიც ახალ გუნდთან ერთად, ჯერ-ჯერობით წარმატებით მიიბრძვის ნინ. ეგაა, ბელგიურ „ოსტენდესთან“ გადამწყვეტ საპლეიოფო მატჩში მოიკოჭლა მანუჩარმა, თუმცა კვირის ბოლოს უკრაინის ჩემპიონატში კვლავ გამოიჩინა თავი და ლეგიონერთა მიმოხილვასაც მისით დავიწყებთ

უკრაინა

„ბკ კიევს“ მეთექვსმეტეფინალის პირველი საპლეიოფო მატჩი ბელგიაში „ოსტენდესთან“ 4 ქულით მოეგო და იოლად სავარაუდო იყო, რომ შინ ამ უპირატესობას არ გაანიავებდა.

კიეველებმა მეტოქე შინაც დაამარცხეს (68:60) და ულებ-ის თასის 16 საუკეთესო გუნდში მოხვდნენ. ამ შეჯიბრის გათამაშების ფორმატი ცოტა შეიცვალა და ოთხთა ფინალის ნაცვლად რვათა ფინალი გაიმართება. 8 საუკეთესო გუნდი იტალიის ქალაქ ტურინში შეიკრიბება და ერთმატჩიანი საპლეიოფო ჯახებით გამოარკვევს თასის მფლობელს. ასე რომ, კიეველებს ერთი რაუნდი — მერვედფინალი — დარჩათ გასავლელი (პოლონური „ტუროვის“ წინააღმდეგ), რათა ტურინის რვათა ფინალში მოხვდნენ.

რაც შეეხება „ოსტენდესთან“ საპასუხო კიევურ მატჩს, მარკოიშვილმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. მან თამაშიდან ექვსივე სროლა გააცუდა და საამმატჩო მონაგარი — 3 ქულა — საჯარიმოს ხაზიდან შეავსო.

დიამეტრალურად განსხვავებულად ითამაშა მარკოიშვილმა კვირის მატჩში, როცა „ბკ კიევმა“ „ნიკოლაევი“ სასტიკად, 121:77 დამარცხდა.

ქართველი უკანახაზელი მარკუს ფეისონთან ერთად „ბკ კიევის“ ბომბარდირი გახდა, თუმც სხვა სტატისტიკურ მაჩვენებლებსაც თუ გავითვალისწინებთ, მარკოიშვილი კიეველთაგან საუკეთესო იყო. 18 ქულასთან ერთად მან 4 პასი, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა ისე მოიხვეჭა, რომ ბურთი არ დაუკარგავს.

ესტონეთი

გიორგი ცინცაძის „როკი“ უკვე მერვედფინალშია და ევროთასის ოთხთა ფინალამდე ცოტაღა აკლია. „როკერებმა“ პირველი მატჩი „ურალ გრეიტთან“ მოიგეს, მაგრამ გასულ კვირაში საპასუხო შეხვედრაში დამარცხდნენ და საქმე მესამე, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა.

პერმში გამართულ შეხვედრაში ცინცაძემ 29 წუთში 8 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი გააკეთა, მისმა გუნდმა კი 61:68 წააგო.

გასულ კვირაში ცინცაძის გუნდმა მეორე მატჩიც წააგო, ამჯერად ბალტიის ლიგაზე „ლიეტუვოს რიტასთან“ და ამ ტურნირის რეგულარული ჩემპიონატი მე-10 ადგილზე დაამთავრა.

ქართველმა გამთამაშებელმა ამ მატჩში თავი იმით „გამოიჩინა“, რომ 11(!) ბურთი დაკარგა., სხვაფრივ კი ცინცაძემ 8 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია, მაგრამ დაკარგვები...

საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისას „არისმა“ გასულ კვირაში ერთი თამაში მოიგო და ერთიც წააგო. ჩვენებური შედარებით გმორჩეული იყო საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩში, რომელშც სალონიკელებმა „პანიონიოსი“ სტუმრად 73:61 დაამარცხეს.

ბოისამ 23 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა და ალბათ მეტსაც მოიხვეჭდა, მოედანი 5 პერსონალურის გამო რომ არ დაეტოვებინა.

ევროლიგაში კი „არისი“ „ტაუსთან“ დამარცხდა და ოთხთა ფინალში გასვლის შანსიც, ფაქტობრივად, დაკარგა. ოთხგუნდა ჯგუფიდან მეოთხედფინალში ორი საუკეთესო გადის, სალონიკელებს კი უკვე სამი წაგება აქვთ ნული მოგების წილ.

ბოისამ „ტაუსთან“ 13 წუთში 2 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა, „არისი“ კი 69:87 დამარცხდა.

იტალია

წინა ტურში ბარაქიანი ბურთაობის შემდეგ ნიკოლოზ ცქიტიშვილმა გასულ კვირას ვეღარ იყოჩაღა. მისი „ტერამო“ „სკაფატისთან“ დამარცხდა, ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა კი 10 წუთში ქულაზე მეტი ვერაფერი მოიხვეჭა.

ესპანეთი

ტაირონ ელისმა მიჯრით მეორე მატჩში ულიდერა „კახასოლს“ და მისმა გუნდმა ორჯერვე მოიგო. გასულ კვირაში „კახასოლის“ მსხვერპლი პრიმერადივიზიონის მაჩანჩალა „ლეონი“ აღმოჩნდა. ელისმა 36 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა და თავის გუნდს სტუმრად 85:76 გაამარჯვებინა.

ნბა

ზაზა ფაჩულიას უიღბლობას ბოლო არ უჩანს. „ატლანტას“ ქართველმა ცენტრმა მოირიგი უსუსური კვირა გალია ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში. ის გასულ შვიდდღეულში ორჯერ გამოჩნდა მოედანზე — „ბოსტონთან“ და „ნიუ იორკთან“ — და მთლიანობაში 3 ქულა, 6 მოხსნა და 1 პასი დააგროვა 28 წუთში.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

3 მარტი

ნიუ იორკი 88:100 ნიუ ორლეანი

ნიუ იორკი: კროუფორდი (20), კარი (19), რობინსონი (17)
ნიუ ორლეანი: პოლი (27), ვესტი (19), ჩანდლერი (15 ქულა, 18 მოხსნა)

იუტა 116:110 დალასი

იუტა: ბუზერი (28), ოქური (20 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (17 ქულა, 20 პასი), კორვერი (17)
დალასი: ჰოვარდი (25), ნოვიცკი (23), ტერი (21), კიდი (19)

კლიპერსი 80:106 ფილადელფია

კლიპერსი: ტორნტონი (20), მაგეტი (16)
ფილადელფია: იგუდალა (18), უილიამსი (16)

თვის მოთამაშეები

აღმოსავლეთი
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

თებერვალი მიიწურა და ნბა-მ თვის ლაურეატებად ორი უკაშკაშესი ვარსკვლავი დაასახელა. დასავლეთში რჩეული ლეიკერსელი კობი ბრაიანტი შეიქნა, აღმოსავლეთის საუკეთესოს წოდება კი ზედიზედ მეორედ შეხვდა კლივლენდელ ლებრონ ჯეიმსს, რომელიც ძალუმად მიიწევს სეზონის უძვირფასესი მოთამაშის უპრესტიჟულესი პრიზისკენ. არ დაგავიწყდეთ, ის ჯერ მხოლოდ 23 წლისაა და უკვე საუკეთესოა პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში.

თებერვალში ჯეიმსის „კლივლენდმა“ 14 მატჩი გამართა და ვარსკვლავიჭუნას შემწეობით მათგან 8 მოიგო. თავად ლებრონს ამ თვეში საშუალოდ 30,2 ქულა მოუგროვდა და მარტსა და აპრილში თუ რამ სასწაული არ მოხდა, ის ხუთწლიან კარიერაში პირველად მოიპოვებს სეზონის ბომბარდირის წოდებას. ქულებსაც თავი დავანებოთ, ის კიდევ 8,5 მოხსნასა და 8,5 პასს იხვეჭს და მას შემდეგ, რაც ჯეისონ კიდი „ნიუ ჯერსიდან“ „დალასში“ გადაბარგდა, აღმოსავლეთ კონფერენციაში საუკეთესო მეპასეც შეიქნა.

რაც შეეხება ბრაიანტს, მან წლეულს ჭკუას მოუხმო და ნებაყოფილებით დათმო სეზონის საუკეთესო მექულის წოდება, ძუნწობასაც გადაეჩვია და მისმა გუნდა ამით მხოლოდ მოიგო. თანაც „ლეიკერსს“ თებერვლის დასაწყისში პაუ გასოლიც დაემატა და ლოსანჯელესელებმა იმდენი თამაში მოიგეს, დასავლეთში პირველობამდე ბევრიც არაფერი უკლიათ. თებერვლის 15 მატჩიდან მათ მხოლოდ ორი დათმეს, კობიმ კი ამ თვეში საშუალოდ 27,2 ქულა, 5,9 პასი და 2,1 ჩაჭრა იხვეჭა.

დასავლეთი
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

გამოვლინდნენ თვის სხვა ლაურეატებიც — დასავლეთში თებერვლის საუკეთესო მწვრთნელიც და ახალბედაც ჰიუსტონელები ვახლავან — შესაბამისად რიკ ედელმანი და ლუის სკოლა. „რაკეტებმა“ თებერვალს 13 თამაში გამართეს და უკლებლივ ყველა მოიგეს! მეტიც, მათ ზედიზედ ბოლო 15 მეტოქე ჰყავთ გამწარებული. ედელმანიც, ცხადია, ამით დაფასდა. არგენტინელი თავდამსხმელი სკოლა კი, რაც იაო მინი დაიმტვრა, უფრო ბასრად ათამაშდა და სეზონის უდავოდ საუკეთესო ახალბედა, სიეტლელი კევინ დურანტი პირველად დატოვა თავის ლაურეატობის გარეშე.

აღმოსავლეთის რჩეულ მწვრთნელად ლიგამ „დეტროიტის“ დამრიგებელი ფილიპ სანდრესი შერაცხა (თებერვალში 9 მოგება, 3 წაგება). მისისიპის აქეთა ნბა-ში რჩეული ახალბედა კი ატლანტელი ცენტრი ალ ჰორფორდი გახლავთ, ვინც „ქორების“ ძირითად ხუთეულში ჩვენებურ ზაზა ფაჩულიას დააკარგვინა ადგილი.



კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): დერონ უილიასი (იუტა), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), ტიმ დანკანი (სან ანტორნიო), პაუ გასოლი (ლეიკერსი)

რუსეთმა გააოთხა

რუსეთის კალათბურთის ფედერაციამ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარებაზე ფიბა-ში ოფიციალური განაცხადი შეიტანა. ასე და ამგვარად, მუნდიალის ჩატარების მსურველთა რიცხვი ოთხამდე გაიზარდა. აქამდე 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების სურვილი ესპანეთმა, საფრანგეთმა და დანიამ გამოთქვეს.

2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის მარტამდე ფიბა კანდიდატთა დეტალურად განხილვას შეუდგება. ყველა ქვეყანაში საფუძვლიანად შემოწმდება საკალათბურთო მეურნეობა და ორი საუკეთესო გამოვლინდება.

თუ ვინ უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს, ეს საბოლოოდ 2010 წლის აპრილში გადაწყდება.

ირაკლი პერტაია

ეტყობა, ფედერ-ერა მთავრდება





ენდი მიურეიმ როჯერ ფედერერი სახლში გაისტუმრა

სეზონი, რომელიც შეიძლებოდა, როჯერ ფედერერის დიდებული კარიერის უმთავრეს ბრილიანტად ქცეულიყო, შვეიცარიელისთვის ჯერჯერობით ამაზრზენად მიმდინარეობს. დიად ალპელს ეს ხმამაღლა არც დაუფიქსირებია, მაგრამ შეუძლებელია, არ ეფიქრა „ოქროს სლემზე" — ანუ ერთ სეზონში ოთხივე სლემტურნირისა და ოლიმპიური ოქროს მოგებაზე. ასეთი რამ ჩოგბურთის ისტორიაში მხოლოდ შტეფი გრაფს გაუკეთებია და ფედერერი, რომელმაც უკვე უამრავი რეკორდი დაამხო, გულის სიღრმეში ალბათ ამ მიღწევასაც უმიზნებდა, მაგრამ...

ეს სეზონი ისე დაიწყო, რომ ფედერერი ორი კურდღლის მადევარს უფრო ემსგავსება და შანსია, წლის ბოლოს საერთოდ ხელცარიელი დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიელის წლეულს ნაჩვენები თამაშიდან გამომდინარე, სხვა არანაირი დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. საჩოგბურთო სამყარომ მეტ-ნალებად უკვე მოინელა ავსტრალიაში ალპელის ნოვაკ ჯოკოვიჩისგან შერცხვენა, მაგრამ დუბაის პირველ წრეში ენდი მიურეისთან წაგებით „მხიარულმა როჯერმა" ახალი სალაპარაკო მისცა მასმედიას.

აქ მთავარი სენსაცია არა იმდენად პირველ წრეში წაგების ფაქტია, თუმც ესეც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა — ფედერერს ხომ ასე ნაადრევად ტურნირი ბოლოს 2004-ის შემდეგ არ დაუტოვებია, არამედ ალპელის არნახულად სუსტი თამაში. დიახ, ფედერერი თავის თავს აღარ ჰგავს — საღღაც გაქრა მისი დახვეწილი, ზუსტი და მრავალფეროვანი ჩოგბურთი. სამაგიეროდ, როჯერმა შეცდომებს უმატა, რაც დიდ წილად სუსტ ფიზიკურ ფორმას უნდა დაბრალდეს. უბრალოდ, იგი ვერ ასწრებს მეტოქის დარტყმულ ბურთებზე და შედეგად ბევრსაც ცდება.

მიურეისთან შეხვედრაშიც შვეიცარიელი უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით კი მიღებაზე სცოდავდა, რადგანაც მთელი მატჩის განმვალობაში კინკილა (!!!) ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, ფედერერმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე მოიგო და წინაც გავიდა, მაგრამ მოდევნო პარტიებში ახალგაზრდა შოტლანდიელი საკუთარ მოწოდებაზე უნაკლო იყო, მეტოქე კი ორჯერ გატეხა და ალპელი მესამე ურთიერთშეხვედრაში მეორედ გააკრა ბეჭებზე.

ნამატჩევს ფედერერმა რატომღაც უფრო მეტი მიურეიზე ილაპარაკა:

„სიმართლე გითხრათ, მისგან უფრო მეტს ველოდი. სინამდვილეში კი ისეთივე ჩოგბურთი ითამაშა, როგორც ორი წლის წინ ჩვენი პირველი შეხვედრისას — უკანა ხაზზე, დაცვაში იდგა და ჩემს შეცდომებს ელოდა. მე კი ვურჩევდი, უფრო აქტიური იყოს, რადგანაც ასეთი თამაშით ტოპმეჩოგნეთა შორის მოხვედრა გაუჭირდება" — თქვენი არ ვიცით, ჩვენ კი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ შვეიცარიელი თანდათან რეალობის შეგრძნებას კარგავს.

მიურეის მეტოქის კომენტარებისთვის მაინდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია:

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მატჩის წინ გამარჯვების რწმენა მქონდა. ბევრი ხომ როჯერთან უკვე კორტზე გასვლამდე აგებს თამაშს. ისე კი, საკუთარი მოწოდებით განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ. ამ კომპონენტს წლების განმავლობაში ვამუშავებდი და შედეგიც სახეზეა".

ამ სენსაციის ფონზე ყველა სხვა ამბავი მნიშვნელობას კარგავს, მაგრამ არაბეთში მომხდარიდან კიდევ ერთი რამ უნდა გამოვყოთ — ვეტერანმა ფაბრის სანტორომ თავისი დახლართული კომბინაციებით მიხაილ იუჟნის თავგზა აუბნია და ორ სეტში მიჩოგნა.

ჩოგბურთელთა ნაწილმა აზიის თაკარა მზის ქვეშ ოფლის ღვრას ამერიკული ბოჰემის დედაქალაქ ლას ვეგასში თამაში ამჯობინა. იქ მომხდარიდან მთავარი მსოფლიოს ორი ექსპირველი ჩოგნის — ლეიტონ ჰიუიტისა და შარატ საფინის — დაპირისპირება იყო. ბოლო წლებია, არც ერთი წყვეტს ციდან ვარსკვლავებს და არც მეორე, მაგრამ ავსტრალიელი ოდნავ უფრო სტაბილურია. ეს გუშინაც დამტკიცდა, როცა ოზმა ძალიან ადვილად დააშამათა აყლაყუდა რუსი და მხოლოდ სამი გეიმი ააღებინა.

ქალები კი ამ კვირაში მხოლოდ ინდურ ბანგალორში ითამაშებენ. შემადგენლობა იქ საკმაოდ ხეირიანი შეიკრიბა. ინდოეთში ჩასვლა არც შავდა უილიამსებმა იუარეს და არც ელენა იანკოვიჩმა. თუმც ამ სამეულს ჯერ კორტზე გასვლის საშუალება არ მისცემია, რადგანაც მათი ჯერი მხოლოდ პირველი წრის დამთავრების შემდეგ მოვა.

კახა ლომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი სოფო

სეხნიებმა, სოფო შაფათავამ და სოფო ქვაცაბაიამ, შესაბამისად, ბელარუსის მიავარქალაქ მინსკსა და ესპანურ საბადელში, ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირების ძირითად ბადეში გააღწიეს.

მინსკის ჭერქვეშა ხალიჩაზე 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და შაფათავამ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუს ეკატერინა კომაროვასთან გამარჯვების შემდეგ მეორე რუსს, 16 წლისა და WTA-ს რეიტინგის 927-ე პოზიციაზე მყოფ მარგარიტა ედინაროვას ორ სეტში, 6:3 6:3 მოუგო.

ძირითად ბადეში სოფოს მეტოქე, ასევე კვალიფიკაციიდან წამოსული ბრიტანელი, 19 წლისა და რეიტინგში 421-ე ადგილზე მყოფი ანა სმიტი იქნება. თუ სმიტსაც გაიკლის, შემდეგ ჩვენებური, ან პირველ ნომრად განთესილ რუს ანა ლაპუშენკოვას შეხვდება, ანაც კორტის მასპინძელ ეგვენია გრებენიუკს.

შაფათავასგან განსხვავებით, ქვაცაბაიას საბადელის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში მოსახვედრად სამი საკვალიფიკაციო მატჩის ჩატარება დასჭირდა. პირველ წრეში ბულგარელი დესისლავა მლადენკოვას დამარცხების შემდეგ სოფომ მასპინძლები დაჩაგრა — 23 წლისა და ურეიტინგო ლუსია საინს-ჰელეგრის 6:4 6:0 სძლია, ხოლო 22 წლისა და რეიტინგში 672-ე პოზიციაზე მყოფ მატილდა ბუნიოს-გონსალესს 6:3 6:0 მოუგო.

ძირითადი ტურნირის წილისყრამ ჩვენებურს არ გაუმართლა. ქვაცაბაია პირველივე წრეში პირველ ნომრად განთესილ 21 წლის ურუგვაელ ესტეფანია კრაკუნს ხვდება, ვისაც მიმდინარე კლასიფიკაციაში 261-ე საფეხური უკავია.

ცირეკიძეს ალარზა ეადვილა

ჩეხეთის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა ყველა წონაში გაიანაღდა პეკინის ოლიმპიადის საგზურები. როგორც მოგეხსენებათ, პრაღაში 81 კგ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი შედგა, სადაც ერთმანეთს გიორგი ბაინდურაშვილი და სბა გაგაშელიშვილი დაუპირისპირდნენ. გიორგი ბაინდურაშვილმა იმარჯვა და საჭოჭმანო თემა, თუ ვინ გაემგზავრება პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე, პრაქტიკულად, ამოიწურა.

შოთა ხაბარელის კიდევ ერთ თავსატეხს 90 კგ წონით კატეგორიაში ნაკრებში შიდა კონკურენცია წარმოადგენდა. მსოფლიოს ჩემპიონ ირაკლი ცირეკიძესა და ბოლო დროს ტატამზე მობრუნებულ ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურს შორის ეროვნული გუნდის პირველკაცობისთვის მწვავე ბრძოლა იყო გაჩაღებული. ამ ორი უძლიერესი ფალავნის დაპირისპირების გამო დასმულ კითხვებს, შეიძლება ითქვას, პრაღის მსოფლიოს თასმა ამომწურავი პასუხი გასცა.

ზვიადაურმა მხოლოდ ორი ორთაბრძოლა მოიგო და შემდეგ მომავალ ფინალისტ დევიდ ალარზასთან (ესპანეთი) დამარცხდა. ვერც რეპეშაჟში იმარჯვა და გამოეთიშა ტურნირს. ირაკლი ცირეკიძემ კი ყველა შეხვედრა სტაბილურად და დამაჯერებლად ჩაატარა, ოქროს მედალიც მოიგო და ახლა უკვე საპორტუგალიოდ ემზადება.

ირაკლის თბილისში შევეხმიანეთ...

— გილოცავთ გამარჯვებას. რამდენად რთული ტურნირი გამოდგა და ვინმესთან განსაკუთრებით ხომ არ გაგიჭირდათ?

— დიდი მადლობა. ვინაიდან პრაღის მსოფლიოს თასი ოლიმპიადის ლიცენზიების გამცემი ბოლოსწინა ტურნირი იყო, მონაწილეები საკმაოდ ტიტულიანები და ძლიერები იყვნენ. თითქმის ყველა ბრძოლა დამაჯერებლად ჩავატარე, მხოლოდ ნახევარფინალში გამიჭირდა უკრაინელ ვალენტინ გრეკოვთან. იგი საკმაოდ უხერხული მეტოქე გამოდგა, მაგრამ ვაზარის აღება მაინც მოვახერხე, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

— რას იტყვით დავიდ ალარზასთან ფინალურ შეხვედრაზე...

— მეტოქე კარგად ნაცნობი იყო ჩემთვის. განსაკუთრებული არაფერი. ადვილად დავამარცხე.

— ევროპის ჩემპიონატზე რა შედეგს გეგმავთ?

— რა გითხრათ წინასწარ. ერთი ისაა, რომ სრული დატვირთვით მოვემზადები და სერიოზულად მივუდგები მომავალ ევროპის პირველობას. 6 მარტს მივემგზავრებით ბაკურიანში შეკრებაზე. ვეცდები, პორტუგალიაშიც არ შევირცხვინო თავი.

ზურაბ მიგრიაული

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

დღეს რონ დენისი იტყვის...

რონ დენისის საგა გრძელდება. როგორც ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები ირწმუნებიან, დღეს რონ დენისი ოფიციალურად განაცხადებს, რომ ტოვებს საპირველფორმულო გუნდის, „მაკლარენის“ ხელმძღვანელ პოსტს, რომელიც მთელი 28(!) წლის მანძილზე ეკავა.

ოღონდაც, ესპანური „მარკასგან“ განსხვავებით, რომელიც ირწმუნებოდა, დენისს წასვლას „მაკლარენის“ ძრავებით მომმარაგებელი და გუნდის აქციათა 40 პროცენტის მფლობელი „მერსედესი“ აიძულებს, რადგანაც გერმანელებს შარშანდელი სკანდალები, მარცხი და ფინანსური ზარალი ჯერაც ვერ მოუნელებიათო, ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები ამბობენ, ყველაფრის მიზეზი თავად დენისის პიროვნული და ოჯახური პრობლემებია, რონს სურს, რომ უფრო მეტი დრო დაუთმოს თავის ორ ქალიშვილსო.

„სანდი ტაიმსი“, რომელმაც რამდენიმე დღის წინ კატეგორიულად უარყო დენისის წასვლის შესაძლებლობა, ამჯერად საპირისპიროს ამტკიცებს და ამბობს, რომ რონის ადგილს „მაკლარენში“ მარტინ უიტმარში დაიკავებს. არადა, ორიოდე დღის წინ თავად უიტმარში ამბობდა, დენისი ხელშეუხებელია და არსად წასვლას არ აპირებსო.

რონ დენისს კი მართლაც მოეძალა ოჯახური პრობლემები. ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები ირწმუნებიან, რომ რონი ცოლს, ლიზას ცილდება და ალბათ, „მაკლარენის“ შეფს ესეც უბიძგებს, კიდევ რაღაც რომ შეცვალოს თავის ცხოვრებაში.

სერ ფრენკ უილიამსმა, „უილიამსის“ ბოსმა და დენისის ერთ-ერთმა თანამედროვემ და მეგობარმა, „დეილი მეილს“ დანანებით განუცხადა: „როგორც ჩანს, რონი მთლიანად ოჯახურ პრობლემებში ჩაიძირა. სამწუხაროა“.

ფორმულა 1-ის ყოვლისშემძლე ბოსის, 77 წლის ბერნი ეკლსტოუნის აზრით კი, რონ დენისზე ძალიან მძიმედ იმოქმედა შარშანდელმა „საჯაშუშო სკანდალმა“.

„ფორმულა 1-ის სამყარომ მისი ცხოვრება საკმაოდ მძიმე გახადა. თუ მან არ იცოდა, რაც ხდებოდა მის გუნდში, უკვე ცუდია. მას უნდა ცოდნოდა ყველაფერი და რადგან არ იცოდა, ამის გამო ბოდიში უნდა მოეხადა. თუ პირიქით იყო და ყველა საქმის კურსში იყო, მით უმეტეს უნდა მოეხადა ბოდიში“ — განაცხადა ბერნი ეკლსტოუნმა.

„მაკლარენის“ ყოფილი თანამშრომელი, მთელი 17 წლის მანძილზე გუნდის კოორდინატორი იო რამირესი თვლის, რომ დენისის წასვლა „მაკლარენისთვის“ აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება: „მარტინ უიტმარში ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ დენისს ასი უიტმარშიც კი ვერ შეცვლის. თუ რონი წავა, ეს გუნდისთვის ცუდი იქნება. ის ძალიან ნაწყენია. შარშანდელმა სკანდალებმა მას ძალიან ბევრი ტკივილი მიაყენა. ასე მგონია, რომ მაქს მოსლის (ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი) დენისის განადგურება სურს, მაგრამ რატომ, ვერაფრით მივმხვდარვარ — რონს არ დაუმსახურებია ასეთი მოპყრობა“.

კახა ლომაძე

მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

XI ტური

ლევონ არონიანი (სომხეთი)	0,5:0,5	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0	ალექსეი შიროვი (ესპანეთი)
თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	0,5:0,5	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	1:0	მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)

ლეკომ კარლსენი უკან დაწია

მეთერთმეტე ტურში მაგნუს კარლსენი აუტსაიდერ პეტერ ლეკოსთან შავი ფიგურებით დამარცხდა და ლიდერ ვიშვანათან ანანდს ერთი ქულით დაშორდა.

არადა, მეორე წრე ნორვეგიელმა ყმაწვილმა კარგად დაიწყო, ზედიზედ ორი პარტია მოიგო და წინა ტურში ანანდს შავებით ყაიმი გაუგორა.

ლეკოსთან შეხვედრისას კარლსენმა სიცილიური დაცვა აირჩია, მეოთხე სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს და ლაზიერის ფლანგის განვითარებას შეუდგა. უნგრელმა მარცხენა ფლანგზე დედოფალი გადაისროლა, მხედრები მტერზე მიუშვა და უპირატესობას დაეუფლა. ნორვეგიელმა მდგომარეობის გამოსასწორებლად გაცვლებს მიმართა, თუმც მანევრებში გამოცდილ ლეკოს ვერ აჯობა და უფრო საეჭვალო სიტუაციაში აღმოჩნდა. ლეკომ ორივე ფლანგიდან პაიკები გასაყვანად დაქოქა, შავებს ყველა საამოძრაო გზები მოუსპო და 62-ე სვლაზე იმარჯვა.

თეიმურ რაჯაბოვმა და ვიშვანათან ანანდმა ყველაზე ადრე, მე-18 სვლაზე დაასრულეს შეხვედრა. ინდუსმა სასურველი ნახევარი ქულა მოიპოვა და უახლოეს მდევრებს ქულით უსწრებს.

ლუბა გეგეჭკორი

1. ვიშვანათან ანანდი	7
2. ვესელინ ტოპალოვი	6
3. მაგნუს კარლსენი	6
4. ლევონ არონიანი	6
5. ვასილ ივანჩუკი	5
6. თეიმურ რაჯაბოვი	5
7. ალექსეი შიროვი	4,5
8. პეტერ ლეკო	4,5

კრივი

გერერომ ნოკუტით მოიგო

პირველ მსუბუქ წონაში IBF-ს ვერსიით ჩემპიონ რობერტო „მოჩვენება“ გერეროს არ გასჭირვებია ტიტულის დაცვა. 24 წლის ამერიკელმა ნოკაუტით მოუგო ჯეისონ ლინცაუს. მერვე რაუნდში გერერომ მეტოქე დაანოკდაუნა, მაგრამ ლინცაუმ წამოდგომა შეძლო. თუმც ყველაფერი უკვე მომდევნო სამწუთეულში მორჩა, როცა „მოჩვენებამ“ სასტიკად შემოჰკრა მეტოქეს, რომელიც ფიცარნაგზე გაიშხალრითა და ვეღარ წამოდგა.

კახა ლომაშვილი

ნიიდამ ტიტული დაიცვა

წარმატებით შეძლო უმსუბუქეს წონაში (46,9 კგ) თავის WBA-ს ტიტულის დაცვა იაპონელმა იუტაკა ნიიდამ. აზიელმა მშობლიურ ტოკიოში სასტიკად გალახა ვენესუელელი ხოსე ლუის ვარელა. ნიიდა თავიდანვე ფლობდა ინიციატივას და უკვე მესამე რაუნდში დაანოკდაუნა სამხრეთამერიკელი. ყველაფერი კი მეექვსე რაუნდში მორჩა, როცა იაპონელმა კორპუსში ისე მძლავრად დაარტყა ვარელას, რომ მან ბრძოლის გაგრძელება ვეღარ მოახერხა.

სხვათა შორის, ნიიდამ აგერ უკვე მეშვიდედ დაიცვა ტიტული.

კახა ლომაშვილი

ბარის თხილამურობა

დედამიშვილები გუსტავ ვასას ნაკვალევზე

ნორვეგიელი იორგენ ოკლენდის გამარჯვებით დასრულდა ბარის მოთხილამურეთა სუპერმარათონული, თითქმის 90-კილომეტრიანი რბოლა „ვასა ლოპეტი“.

ეს რბოლა, რომელსაც თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს (1922 წლიდან), შვედთა ძველი მეფის გუსტავ ვასას საპატივსაცემოდ ტარდება. გუსტავ ვასა მე-16 საუკუნეში მეფობდა. მან შვედები გააერთიანა და ქვეყანას დანიისგან დამოუკიდებლობა მოუტანა. არის ლეგენდა, რომ გუსტავ ვასამ ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს თხილამურებით გაიარა ქალაქებს, სალენსა და მორას შორის არსებული თითქმის ცხრა ათეული კილომეტრი და საუკუნეების შემდეგ მადლიერმა შვედებმა სათხილამურო რბოლით მიაგეს პატივი თავიანთ გმირს.

„ვასა ლოპეტი“ უპოპულარესი რბოლაა, ხოლო იორგენ ოკლენდი ბოლო ოთხ ათეულ წელიწადში ოდენ მესამე ნორვეგიელია, რომელმაც ამ სუპერმარათონის მოგება შეძლო. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს „ვასა ლოპეტი“ იორგენის ძმამ, ანდერს ოკლენდმა მოიგო და აი, სამი წლის შემდეგ იგივე იორგენმაც გააკეთა, რომელმაც სალენიდან მორამდე თხილამურებით მისვლას 4 საათი, 13 წუთი და 45 წამი მოანდომა.

იორგენის მთავარი მეტოქე სწორედ მისი ძმა იყო — ანდერსმა მეორემ უწია ფინიშს, დედმამიშვილთან 3 წუთისა და 29 წამის ჩამორჩენით.

„ყოველთვის მჯეროდა, რომ თუ ყველაფერი იდეალურად აეწყობოდა, აქ გამარჯვება შემეძლო. ბოლოსკენ ძალიან დავიღალე, მაგრამ ეს არაფერია. ამ გრძნობას არაფერი შეედრება — რაღაც სხვა არის, ფინიშისკენ ეულად რომ მიიწევ“ — განაცხადა ბედნიერმა იორგენ ოკლანდმა.

სულ, წლევანდელ რბოლაში, დაახლოებით 15 ათასმა მოთხილამურემ მიიღო მონაწილეობა და ბევრ მათგანს, საიმისოდ, ფინიშამდე რომ მისულიყო, ათ საათზე მეტი დასჭირდა.

ᲡᲣᲜᲓᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ



ᲒᲐᲡᲣᲚᲘ კვირის პირველი ვარსკვლავის ტიტული „ტორონტოს“ კაპიტანმა მატს სუნდინმა დაიმსახურა. მთელი სეზონის განმავლობაში შვედზე ამბობდნენ, გუნდიდან აუცილებლად წავა, სტენლის თასისთვის რეალურად მებრძოლ რომელიმე კლუბში გადავაო, მაგრამ სუნდინმა ზედ დედლაინის წინ სხვაგან გადასვლაზე უარი თქვა და ტორონტოში დარჩენა ამჯობინა. ჰოდა, სკანდინავი ახლა „მეიპლ ლივზს“ ლამის ეულად მიათრევს პლეი ოფისკენ, რომელში მოხვედრის შანსებიც კანადურ გუნდს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს.

სუნდინი წელზე ფეხებს რომ იდგამს, გასულ შვიდდღეულშიც დავინახეთ, როცა „ტორონტომ“ დიდწილად კაპიტნის დამსახურებით ოთხიდან სამ შეხვედრაში იმარჯვა და ამით პლეი ოფში გამსვლელ ბოლო, მერვე ადგილს ექვს ქულაზე მიუახლოვდა. თავად სუნდინმა კი ამ შეხვედრებში რვა ქულა (4+4) მოიხვეჭა. შვედმა კარიერაში გატანილი შაიბების რაოდენობა უკვე 552-მდე აიყვანა და ყველა დროის სნაიპერთა სიაში 22-ე ადგილზე აინაცვლა, როცა ერთდროულად გადაასწრო მიშელ გულეს (548) და რონ ფრენსისს (549).

მეორე ვარსკვლავად „ბოსტონის“ კარის დარაჯი ტიმ ტომასი დაასახელეს, რომელმაც გასულ კვირას მართლაც ფანტასტიკური თამაში აჩვენა — სამიდან სამივე შეხვედრაში იმარჯვა, რომლებშიც საშუალოდ მხოლოდ ერთ შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 96,2 პროცენტს იგერიებდა. თანაც ტომასმა აქტივში ერთი შათაუტიც (კარიერაში მეექვსე) ჩაიწერა.

წინა შვიდდღეულის კიდევ ერთი გამორჩეული მოთამაშე „ფილადელფიის“ მარჯვენაფლანგელი მაიკ კნუბლი იყო. „მფრინავთა“ წინახაზელმა რვა ქულა (3+5) ჩაიწერა აქტივში და თავის გუნდს ჩატარებული ოთხი მატჩიდან სამის მოგებაში დაეხმარა. მთლიანად სეზონში კი კნუბლის ანგარიშზე 48 (23+25) ქულაა და ამ მაჩვენებლით ის თავის გუნდის მეოთხე ბომბარდირია.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲛᲐᲚᲙᲘᲜᲘᲡ ᲗᲕᲔ



ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲛᲐ „პიტსბურგის“ ახალგაზრდა ცენტრ ევგენი მალკინის ნიშნით ჩაიარა. კაპიტან და ლიდერ სიდნი კროსბის ტრავმის შემდეგ „პინგვინთა“ მწვრთნელი მიშელ ტერიენი იძულებული გახდა, სათამაშო დრო გაეზარდა მალკინისთვის. რუსმა ეს შესაძლებლობა მშვენივრად გამოიყენა და ყველას დაანახვა, თუ რის გამო აიყვანეს დრაფტზე მეორე ნომრად. მალკინმა თებერვალში თავისი ფანტასტიკური თამაშით დაამტკიცა, რომ იმავე კროსბისა და ალექსანდერ ოვეჩკინის კალიბრის ვარსკვლავია, რომელიც უახლოეს წლებში მთლიანად ნჰლ-ის ერთ-ერთი სახე იქნება.

მალკინმა „პინგვინებს“ შარშანდელი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის არყოფნა არც კი აგრძნობინა — უკროსბო „პიტსბურგმა“ იანვარში აღებული ტემპი ოდნავადაც არ შეანელა და ახლა აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერობას იყოფს „მონრეალთან“. ამაში ლომის წილი სწორედაც რომ მალკინს მიუძღვის, რომელმაც თებერვალში ჩატარებულ 14 შეხვედრაში 26 ქულა (9+17) მოიხვეჭა. შედეგად რუსის სეზონურმა მონაგარმა 88 ქულას (37+51) უწია.

თებერვლის მეორე ვარსკვლავობა „დალასის“ კიპერ მარტი ტურკოს ხვდა წილად. ტეხასური გუნდის კარის დარაჯმა გასულ თვის 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომლებიდანაც 9-ში იმარჯვა. ამ შეხვედრებში ტურკო საშუალოდ 1,8 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 92,6 პროცენტს იგერიებდა. ამას მან ერთი შათაუტიც დააყოლა, თანაც ლიგის ლიდერ „დეტროიტთან“. სეზონში „ვარსკვლავთა“ მეკარეს უკვე 29 გამარჯვება დაუგროვდა და მშვენიერი შანსი აქვს, ზედიზედ მეხუთე სეზონი 30 და მეტი მოგებით დასრულოს, რაც ოკეანისგაღმეთში მეკარის მაღალი კლასის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად ითვლება.

გასული თვის მესამე ვარსკვლავი ტომაშ ვანეკია. გასულ ზაფხულს კრის დრურისა და დანიელ ბრიარის წასვლის შემდეგ „ბუფალოს“ გულშემატკივრები მთავარ იმედებს სწორედ ამ ავსტრიული პასპორტის მქონე ჩეხზე ამყარებდნენ, მაგრამ ვანეკმა სეზონი ამაზრზენად დაიწყო — გუნდის ლიდერობას ვინ ჩივის, შარშანდელ დონეზეც კი ვერ იქნევდა ყვანჯს. მაგრამ თებერვალში ვანეკს გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო — 15 შეხვედრაში 20 ქულას (13+7) მოუყარა თავი. თანაც ავსტრიელმა ორი ჰეთ თრიქი შეასრულა („ოტავასთან“ და „ტამპასთან“) და სეზონური შედეგიანობა 52 ქულამდე (27+25) აიყვანა, რითაც ის თავისი გუნდის მხოლოდ მესამე ბომბარდირია.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

3 მარტი

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 10:2 ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ

6:0 2:2 2:0

1:0 კუკი (1), 2:0 ოვეჩკინი (7), 3:0 ოვეჩკინი (8), 4:0 ბრედლი (9), 5:0 ოვეჩკინი (16), 6:0 ლეიჩი (19), 6:1 ვაიდმენი (21), 7:1 ბექსტრომი (28), 8:1 ბრაშირი (37), 8:2 შტურმი (38), 9:2 ლეიჩი (43), 10:2 ბრედლი (59)

ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ 3:1 ᲝᲢᲐᲕᲐ

2:1 0:0 1:0

1:0 ბერტუცი (12), 2:0 პერი (15), 2:1 შუბერტი (16), 3:1 ს. ნიდერმაიერი (50)

ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 6:4 ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ

2:2 2:1 2:1

1:0 მარლო (1), 1:1 პლეკანეცი (3), 2:1 ტორნტორნი (3), 2:2 ობერნი (18), 3:2 ტორნტორნი (26), 3:3 პლეკანეცი (35), 4:3 შელი (37), 5:3 ჩიჩუ (44), 5:4 ლაპიერი (45), 6:4 კემპბელი (59)

ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲐ						
პიტსბურგი	67	37	23	7	198:185	81
ნიუ ჯერსი	66	37	23	6	172:156	80
რეინჯერსი	66	34	24	8	175:164	76
ფილადელფია	66	33	25	8	203:189	74
აილენდერსი	67	31	29	7	164:193	69
ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
მონრეალი	67	36	22	9	213:190	81
ოტავა	67	37	24	6	217:202	80
ბოსტონი	65	35	24	6	179:180	76
ბუფალო	66	31	26	9	200:192	71
ტორონტო	67	29	28	10	186:208	68
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲦᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
კაროლინა	68	34	29	5	203:213	73
ვაშინგტონი	67	31	28	8	197:202	70
ფლორიდა	68	29	31	8	181:196	66
ატლანტა	67	29	31	7	178:219	65
ტამპა	65	26	32	7	183:213	59

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ						
დეტროიტი	67	43	18	6	209:150	92
ნეშვილი	66	33	25	8	193:190	74
კოლუმბუსი	67	30	27	10	164:176	70
ჩიკაგო	65	31	28	6	187:188	68
სენტ ლუისი	65	28	27	10	161:180	66
ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
მინესოტა	66	37	24	5	179:177	79
კალგარი	66	34	23	9	186:185	77
ვანკუვერი	65	32	23	10	172:167	74
კოლორადო	66	34	26	6	183:180	74
ედმონტონი	66	31	30	5	182:200	67
ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲔ						
დალასი	69	41	23	5	207:171	87
ანაჰაიმი	68	38	23	27	173:165	83
სან ხოსე	66	37	21	8	176:159	82
ფინიქსი	66	33	28	5	176:176	71
ლოს ანჯელესი	67	26	36	5	193:224	57



ალექსანდრ ოვეჩკინმა 50-გოლიანი ზღვარი სამწლიან კარიერაში მეორედ გადალახა

ᲒᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ: ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 90 (52+38); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 88 (37+51); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 80 (32+48); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 79 (37+42); ჯერომ იგინლა (კალგარი) 79 (40+39); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 78 (19+59); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 76 (23+53); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 75 (36+39); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 75 (25+50); მაიკ რიბეირო (დალასი) 75 (27+48); მარკ სავარი (ბოსტონი) 74 (14+60); რაიან გაცლაფი (ანაჰაიმი) 71 (21+50); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 71 (21+50); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 71 (42+29); მატს სუნდინი (ტორონტო) 70 (29+41)

ᲒᲝᲚᲔᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘ: ოვეჩკინი 52; კოვალჩუკი 42; იგინლა 40; მალკინი, ალფრედსონი 37-37; ზეტერბერგი 36; რიკ ნეში (კოლუმბუსი) 35; მარიან გაბორიკი (მინესოტა) 34; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), ლეკავალიე, პატრიკ შარპი (ჩიკაგო) 32-32; ერიკ სტაალი (კაროლინა), დენი ჰიტლი (ოტავა) 31-31; ოლი იოკინენი (ფლორიდა), ვაცლავ პროსპალი (ფილადელფია) 30-30

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ: სავარი, ტორნტონი 59-59; დაციუკი 53; მალკინი, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 51-51; სპეცა, სენ ლუი, ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), გეცლაფი 50-50; სკოტ გომესი (რეინჯერსი) 49; ლეკავალიე, რიბეირო 48-48

ᲜᲐᲪᲝᲤᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲔᲤᲘᲪᲘᲔᲜᲢᲘ: ლიდსტრომი 39; ჰიტლი 32; დაციუკი 31; იგინლა, დანკან კეიტი (ჩიკაგო) 26-26; ზეტერბერგი 25; გეცლაფი, სპეცა 24-24; დანიელ კლირი (დეტროიტი), რიბეირო 23-23; ბრენდენ მოროუ (დალასი), კენტ ჰასკინსი (ანაჰაიმი) 22-22; მეტიუ შნაიდერი (ანაჰაიმი) 21; ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი) 20

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲑᲘ

ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲒᲝᲚᲗᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ: კრის ოსგუდი (დეტროიტი) 2,10; დომინ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,10; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,17; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე) 2,17; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,18; ჟან-სებასტიენ ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,19; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,24; მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 2,29

ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐᲗᲐ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ: ტაი კონკლინი (პიტსბურგი) 92,7; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 92,2; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 92,2; ლეკლერი 92,2; ლუონგო 92,1; ჟიგერი 92,0; მარტინ ბიერონი (ფილადელფია) 91,9; ბროდო 91,9; კრისტობალ იუე (ვაშინგტონი) 91,7; დენ ელისი (ნეშვილი) 91,6; მეტიუ გერონი (ედმონტონი) 91,6; ოსგუდი 91,6

ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ: ნაბოკოვი 36; ბროდო 35; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 32; ჟიგერი 30; მარტი ტურკო (დალასი), ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი), რაიან მილერი (ბუფალო) 29-29; კემ უარდი (კაროლინა), ლუონგო 28-28; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი), ვესა ტოსკალა (ტტორონტო), ნიკლას ბექსტრომი (მინესოტა) 26-26; ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა) 25

ᲨᲐᲗᲐᲣᲢᲔᲑᲘ: ლეკლერი 9; ლუნდკვისტი 8; ლუონგო, ნაბოკოვი 6-6; ელისი, ვოკოუნი, გერონი, კრის მეისონი (ნეშვილი), ჰაშეკი, ჟიგერი, ბროდო, ლეგასი, ოსგუდი 4-4

ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დასასრული

მილანი (იტალია) 0:2 არსენალი (ინგლისი) (0:0)

0:1 ფაბრეგასი (84), 0:2 ადებაიორი (90)

მილანი: კალაჩი, ოდო, ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, პატო, ინძაგი (ჯილარდინო 69)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

არსენალი: ალმუნია, სანია, გალასი, სენდეროსი; კლიში, ებუე (უოლკოტი 71), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (ჟილბერტო სილვა 90), დიაბი, ადებაიორი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: გლები, ინძაგი, ებუე, კლიში, კაკა, პირლო

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

83 000 მაყურებელი

მანჩესტერი (ინგლისი) 1:0 ლიონი (საფრანგეთი) (1:1)

1:0 რონალდუ (41)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ეერა, ფლეტჩერი, კარიკი, ანდერსონი (ტევესი 70), რონალდუ (ჰარგრივსი 90), რუნი, ნანი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ლიონი: კუპე, კლერკი, სკილაჩი, კრისი, გროსო, კალსტრიომი (ფრედი 79), ტულალანი, ჟუნინიო, ბენ არფა, გოვუ (ა. კეიტა 58), ბენზემა

მწვრთნელი: ალენ პერენი

გაფრთხილება: ეერა, გროსო, ნანი, სკილაჩი, ფლეტჩერი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

75 521 მაყურებელი

ბარსელონა (ესპანეთი) 1:0 სელტიკი (შოტლანდია) (3:2)

1:0 ხავი (3)

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, პუიოლი, სილვინიო, ხავი (გუდიონსენი 82), ტურე (ედმილსონი 68), დეკუ, რონალდინიო, მესი (ანრი 38), ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

სელტიკი: ბორუკი, უილსონი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, დონატი (სნო 46), ჰარტლი (მაკდონალდი 78), მაკგიდი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სამარასი 55)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

მსაჯი: პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

75 000 მაყურებელი

სევილია (ესპანეთი) 3:2დ.დ. (პენ.2:3, 3:2) ფენერბაჰჩე (თურქეთი) (2:3)

1:0 დანი ალვეში (5), 2:0 კეიტა (9), 2:1 დეივიდი (20), 3:1 კანუტე (41), 3:2 დეივიდი (79)

პენალტები

1:0 კანუტე, 1:1 ვედერსონი, 1:1 ესკუდე (მეკარე), 1:1 ედუ (მეკარე), 2:1 დრაგუტინოვიჩი, 2:2 აურელიო, 2:2 მარესკა (მეკარე), 2:3 კეუმანი, 2:3 დანი ალვეში (მეკარე)

სევილია: პალოპი, დანი ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანუ, ხესუს ნავასი (ა. კონე 105), პოულსენი (მარესკა 91), კაპელი, ს. კეიტა, ლუიზ ფაბიანო (რენატო 78), კანუტე

მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი

ფენერბაჰჩე: ვოლქანი, გოხანი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი, სელჩუკი (სემიხ 63), აურელიო, ულური (კაზიმ-რიჩარდსი 111), ალექსი (ბილგინი 112), დეივიდი, კეუმანი

მწვრთნელი: ზიკო

გაფრთხილება: სელჩუკი, დეივიდი, გოხანი, კეიტა, ვედერსონი, დანი ალვეში, კეუმანი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

38 626 მაყურებელი

სესკმა გარისკა

ჩემპიონთა თასს ამ სეზონში ახალი პატრონი გამოუჩნდება, რადგან „მილანი“ გუშინ არ ჰგავდა გასული გაზაფხულის „მილანს“, რომელმაც კლასით და კაკათი მთავარი ევროჯილდო მეშვიდედ მოიგო.

კაკაც ვერ იყო შარშანდელივით ბრწყინვალე, რისთვისაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, თუმც ერთი ორჯერ მაინც გააკეთა თავისებურები. ბრაზილიელს ნერვიულობა ეტყობოდა და აკი გაიკვეთლა კიდეც მსაჯმა პროტესტისა და ბურთის დახეთქებისთვის.

კარლო ანჩელოტის გუნდს კლარენს ზეედორფის სიბრძნე აკლდა, რომელსაც ტრავმამ თამაშის საშუალება არ მისცა და პალტოში გამოწყობილი ტრიბუნაზე იდგა.

„მილანის“ გამოცდილება უსაზღვროა, მაგრამ არსენ ვენგერის ბიჭები ისე უწკაპუნებდნენ ბურთს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, იფიქრებდი, ამას თვალდახუჭულებიც გააკეთებენო. ეს წკაპწკუპი განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში გამოუვიდათ, თუმც თამაშის დასაწყისი „მილანის“ იყო და საუკეთესო მომენტი პატოს ჰქონდა, რომელმაც ახლოდან ძალიან სუსტად დარტყა და ბურთი ალმუნიას ხელებში აღმოჩნდა.

ხოლო როცა „არსენალი“ მეტოქის ნახევარს გაუშინაურდა, სესკ ფაბრეგასმა საჯარიმოს ზაზიდან ძლიერად დაჰკრა და ხარიხა შეაზანზარა.

მეორე ტაიმში მილანელთა მომენტებიდან პირლოს საჯარიმო და პატოსა და კაკას თითო დარტყმაა აღსანიშნავი. არსენალელებს კი ასპროცენტიანი შანსები ჰქონდათ: ჯერ სენდეროსმა სამი მეტრიდან ბურთი მეკარეს მიართვა, მერე კი ებუმ უფრო ახლოდან კარს ააცილა.

და როცა თამაში დასასრულისკენ წავიდა და გარისკვას ორივე გუნდი ერიდებოდა, ფაბრეგასმა გარისკა — დაახლოებით ოცი მეტრიდან ისეთი ზუსტი დარტყმა გამოუვიდა, რომ მეკარე კალაჩი ბურთს ვერ მისწვდა და 0:1.

წინ წასული „მილანი“ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და უოლკოტის პასით ადებაიორმა ბურთი კარში ახლოდან შეაგდო. ეს იყო ტოგოელის პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგის მეთხუთმეტე მატჩში.

პრემიერლიგის პირველადგილოსან „არსენალს“ მეორეადგილოსანი „მანჩესტერიც“ შეუამხანაგდა მეოთხედფინალში. ალექს ფერგიუსონის გუნდმა ჩვეულად ვერ გაილაღა და ბევრი ვერ გაიტანა, მაგრამ კრიშტიანუ რონალდუს ერთი გოლიც ეყო „ლიონის“ დასამარცხებლად.

„სელტიკმა“ კი ნავსი ვერ გატეხა და ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად მატჩი კვლავ ვერ მოიგო, უფრო სწორად „ბარსასთან“ წააგო და ამ ტურნირში სტუმრად მეთხუთმეტე მარცხი მიითვალა.

ხოლო „სევილიამ“, რაც დაემართა, თავს დააბრალოს — როგორი საქმეა, მე-9 წუთზე ორი ბურთით იგებდა და...

ვაჟა ხუციშვილი

ფაბრეგასისგან დაჩაგრულ „მილანს“ ადებაიორმა მეორეც მიუმატა

ინგლისი

ჩემპიონატი

XXXVI ტური

გლეიპული 1:1 ბარნსლი
ჩალტონი 1:1 ბრისტოლი
ჰალი 2:0 ბარნლი
იფსვიჩი 1:1 შეფილდი
ლესტერი 0:1 პრესტონი
პლიმუთი 4:1 კოლჩესტერი
უენსდი 0:1 ვესტ ბრომვიჩი
უოტფორდი 1:1 ნორვიჩი
ვულვზი 2:2 საუთჰემპტონი
კრ. პალასი 0:0 კარდიფი

პირველი ლიგა

გადადებული მატჩები
ბრაიტონი 4:2 ჯილინგემი
როვერსი 0:1 დონკასტერი
ოლდემი 0:1 ჰარტლპული
სუინდონი 3:2 ჰადერსფილდი

მეორე ლიგა

გადადებული მატჩები
დარლინგტონი 1:0 ჩესტერი
ბარნეტი 0:2 პიტერბრო
ბრენტფორდი 1:4 ბერი

კონფერენსლიგა

XXXVI ტური

ალტრინჩემი 3:3 ჰალიფაქსი
ქროული 2:2 ექსეტერი
დროილსდენი 1:3 ნორსვიჩი
ეგსფლიტი 2:1 სალისბერი
ფერსლი 0:1 რაუდენი
ჰისტონი 1:4 სტივენეიჯი
კიდერმინსტერი 6:0 სტაფორდი
ოქსფორდი 1:2 კემბრიჯი
ვეიმუთი 0:6 ფორესტ გრინი
იორკი 0:0 ბარტონი

LDV VANS TROPHY

ნახევარფინალი

საპასუხო მატჩი

გრიმსბი 0:0 მორეკემბი (1:0)

შოტლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

გრეტნა - - დანდი იუნ. გადაიდო

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩი

პარტიკი 2:1 ლივინგსტონი

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი

როსი 4:1 კუოდენბითი

მესამე დივიზიონი

გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი 1:3 სტრანრარი

პოლონეთი

ლიგის თასი

მეოთხედფინალი

•საპასუხო მატჩები

ვისლა 5:0 იაგელონია (1:1)
ლეგია 2:2 პოლონია (2:0)

ამხანაგური მატჩები

ყატარი 1:2 ბაჰრეინი
მიუპა 1:1 მიოლდე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაპა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორფოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge